

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



თამარ ჭუმბაძე

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ეკონომიურ-
მათემატიკური მეთოდები
სს „თელასის“ მაგალითზე

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი – თეა მუნჯიშვილი
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი იქნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და გაკოტრების დიაგნოსტიკის კრიტერიუმები. ყოველივე აღნიშნული კი განხილულია სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე.

სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში კომპანიას ეხმარება - ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს წარმოადგენს. მისი მიზანია საწარმოს რესურსების და მათი ფორმირების წყაროების, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ისეთი ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო წრისათვის, რომელიც მათ სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები საშუალებას გვაძლევს გაკეთებული იქნას დასკვნები კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და იმის გასარკვევად, თუ რამდენად სტაბილურია საწარმო. ანალიზის შედეგები მნიშვნელოვანია, როგორც შიდა მომხმარებლებისათვის ანუ კომპანიის მენეჯმენტისათვის, ისე გარე მომხმარებლებისათვის.

ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

შესავალში განსაზღვრულია კვლევის მიზანი და ამოცანები. პირველ თავში განხილულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებების შესახებ საერთაშორისო თეორიასა და პრაქტიკაში არსებული მოსაზრებები, ჩამოყალიბებულია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სპეციფიკური მიზნები და პროგრამები. ასევე საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია გაკოტრების არსი, გაკოტრების დიაგნოსტიკის თეორიული საფუძვლები და გაკოტრების რისკის ანალიზი. განხილულია ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოთა ფინანსური გაჯანსაღების მიმართულებანი. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია წინადადებები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

Annotation

Economic-mathematical methods of analyzing the financial position of the enterprise, on the example of JSC “Telasi”

Tamar Chumbadze

The master's paper included the main indicators of the financial position assessment of the enterprise, the financial condition, and the bankruptcy diagnosis criteria. All the above mentioned are based on analysis of JSC "Telasi" financial statements.

To make the right financial decisions for the company is important - financial statements. Financial statements represent a financially structured picture of the financial position of the enterprise and its financial performance. Its purpose is to provide information about enterprise resources and their formation sources, financial results and cash flows to provide a wide range of users to help them make effective decisions.

The results of financial position analysis allow us to make the conclusions of the financial position of the company, to find out how stable the enterprise is. In addition, the results of the analysis are important for internal users, as well as for company management and external users.

The work consists of the introduction part, the two chapters, the conclusion and the literature used.

The introduction includes the purpose and objectives of the research. The first chapter deals with the analysis of the financial status of the enterprise and the considerations about these main directions in international theory and practice, there are also specific goals and programs for analysis of financial position, asset status, liquidity and solvency, financial sustainability, business activity assessment indicators.

The second chapter of the work is discussed: the essence of bankruptcy, the theoretical basics of bankruptcy diagnosis and the risk of bankruptcy, the directions of financial recovery of enterprises with financial problems. In the final part, proposals are proposed to improve the financial situation of the enterprise.

სარჩევი

შესავალი.....	3
თავი I. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული ასპექტები; მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები, სს „თელასის“ მაგალითზე.....	6
1.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია და მეთოდები.....	6
1.2 საწარმოს ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზი	29
1.3 საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი	38
1.4 ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის ანალიზი.....	46
თავი 2. გაკოტრების დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია და გაკოტრების თავიდან აცილების გზები, სს „თელასის“ მაგალითზე.....	55
2.1 გაკოტრების არსი	55
2.2 გაკოტრების დიაგნოსტიკა	64
2.3 გაკოტრების თავიდან აცილების გზები	77
დასკვნა.....	84
გამოყენებული ლიტერატურა	90

შესავალი

თემის აქტუალობა

საქართველოს ეკონომიკისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს კრიზისის დაძლევა ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოებში, რომლებიც საბაზრო პრინციპებით ჩამოყალიბებას და ეროვნული ეკონომიკის სისტემაში ფუნქციონირებას შეძლებენ. სამეურნეო პროცესების მართვისა და რეგულირების თანამედროვე ფორმების გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, საწარმოთა ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. ეს კი საწარმოთა გაკოტრების თავიდან აცილების წინაპირობას წარმოადგენს.

საწარმოს განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების საფუძველს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი წარმოადგენს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი საწარმოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, საქმიანი აქტივები, გაკოტრების დიაგნოსტიკის, ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებათა შემუშავებასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას გულისხმობს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან და გულისხმობს როგორც მაჩვენებლების გამოთვლას, ასევე მათი მნიშვნელობების შედარებას სხვადასხვა პერიოდის მიხედვით. ფინანსური ანალიზისთვის პირველ რიგში საჭიროა განვსაზღვროთ ამ ანალიზის საფუძველი, რაზეც შემდგომში უნდა ავაგოთ ანალიზი. საწარმოს ფინანსური ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს და გამოვლინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მომგებიანობის ამაღლების ფარული შესაძლებლობები ანუ რეზერვები. ასევე თავი დაიზღვიოს იმ მოსალოდნელი საფრთხეებისაგან რაც შეიძლება მოჰყვეს კომპანიის არასწორ ფინანსურ მართვას.

სრული და დეტალური ინფორმაციის მიღება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ არის საუკეთესი გზა კომპანიის განვითარებისათვის. როგორც ამბობენ: ვინც ფლობს ინფორმაციას, ის მართავს კიდევ სიტუაციას!

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძველზე შესწავლა და გაკოტრების დიაგნოსტიკის მიზნით მათი გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენა, ასევე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება.

ნაშრომის ამოცანები:

კვლევის პროცესში დაისვა შემდეგი ამოცანები:

1. ფინანსური ანგარიშგების ანალიზთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურისა და სტატიების გაცნობა;
2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზისათვის შესაბამისი მეთოდებისა და ინდიკატორების შერჩევა.
3. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შემდეგად ნაშრომში ამომწურავი ინფორმაციის შეტანა;
4. საკვლევი ობიექტის ამორჩევა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზნით;
5. საწარმოს მაგალითზე კოეფიციენტების და მაჩვენებლების გამოანგარიშება და დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის საგანს წარმოადგენს სს „თელასის“ ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. კერძოდ, ქონებრივი მდგომარეობის, ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის ანალიზი, გაკოტრების რისკების დიაგნოსტიკა სხვადასხვა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებით და სათანადო დასკვნების გამოტანა შესაბამისი მასალის ანალიზის საფუძველზე.

„თელასი“ როგორც სააქციო საზოგადოება დარეგისტრირდა 1995 წლის მაისში. ამჟამად სს "თელასი" საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელური კომპანიაა,

რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის განაწილებას და გასაღებას. „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და განაწილება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორების მომხმარებლებზე თბილისში, საქართველო. „კომპანია“ შედგება ერთი საოპერაციო სეგმენტისგან. „კომპანიის“ აქციების საკონტროლო პაკეტს (75.11%) ფლობს Silk Road Holdings B.V (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა სსს „ინტერ რაო“ (შემდგომში „საბოლოო მშობელი კომპანია“), რომელსაც აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია. საქართველოს მთავრობა აქციების 24.53%-ს ფლობს სს "საპარტნიორო ფონდის" მეშვეობით. კერძო პირები ფლობენ დანარჩენ 0.36%-ს.

იქედან გამომდინარე, რომ კომპანია უკვე დიდი ხანია წარმატებით ახორციელებს საქმიანობას ბიზნეს ბაზარზე, საინტერესო იქნება სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგების შესწავლა, ფინანსური ანალიზი და მისი გაკოტრების რისკების დიაგნოსტიკა.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური ანალიზის ხერხები, მეცნიერული აბსტრაქციის, დეტალიზაციის, შედარების, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების, კოეფიციენტების მეთოდები, და სხვა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები:

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს სს „თელასის“ ფინანსური ანგარიშგება. ნაშრომის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოური მკვლევარების ნაშრომები ასევე, სამეცნიერო მასალები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ინტერნეტ წყაროები.

თავი I. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული ასპექტები; მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები, სს „თელასის“ მაგალითზე

1.1 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია და მეთოდები

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფით და მათი რაციონალური გამოყენებით, გადახდისუნარიანობით და ფინანსური მდგრადობით.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა¹ - ეს არის იმ მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ მის შესაძლებლობას დაფაროს თავისი ვალდებულებები. ფინანსური საქმიანობა შეიცავს ორგანიზაციის ქონების ფორმირების, მიმოქცევის და შენახვის პროცესს, აგრეთვე ახდენს მისი გამოყენების კონტროლს. ამრიგად, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი უზრუნველყოფა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით, ამ რესურსების განთავსების მიზანშეწონილობა და გამოყენების ეფექტიანობა, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობა, გადახდისუნარიანობა.

საწარმოს შესაძლებლობა, დროულად გასცეს ხელფასები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა და იზრუნოს გაფართოებაზე, მეტყველებს მის კარგ ფინანსურ მდგომარეობაზე. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული². თუ საწარმოს აქვს უნარი, დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა გაფართოებული მასშტაბით, მას მდგრადი ანუ მყარი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

¹ თურმანიძე თ., „ფინანსური ანალიზი“, სამართლიანი საქართველო, თბილისი 2014;

² ჩეჩელაშვილი ა., ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. თბილისი 2013;

მყარი ფინანსური მდგომარეობა თავის მხრივ დადებითად მოქმედებს ბიზნეს გეგმით განსაზღვრული საწარმოო პროგრამების შესრულებასა და საჭირო რესურსებზე საწარმოს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების ოპტიმალური ოდენობით მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფის, საანგარიშწორებო დისციპლინის დაცვის, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენისა და უფრო ეფექტიანი გამოყენებისაკენ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანია იმ მაჩვენებლების მიღება, რომელიც იძლევა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალისა და პროდუქციის რენტაბელობის ობიექტურ სურათს.[13]

საწარმოს ფინანსური ანალიზის ძირითად საინფორმაცია ბაზას ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს საწარმოს აქტივების, მათი დაფარვის წყაროების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის, ფულადი სახსრების მოძრაობის, საქმიანი აქტივობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით, ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების მიზანი მომხმარებელთა ფართო წრისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილებების, საწარმოს საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მინდობილი რესურსების მართვის შედეგებს³.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორებისა და ინვესტორებისთვის,

³ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, გვ 558

ასევე სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებათა მისაღებად. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება კრედიტორებსა და ინვესტორებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სამომავლო დაინტერესების პროგნოზები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგად ასევე აუცილებელია კომპანიის მენეჯერებისათვის, მმართველი რგოლებისათვის და აქციონერებისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აქციონერებს, სამთავრობო ორგანიზაციებს, საგადასახადო ინსპექციებს, სახელისუფლებო ორგანოებს, კრედიტორებს აქვთ თავიანთი დამოკიდებულება კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, ხოლო მენეჯერებს აქვთ პასუხისმგებლობა, უპასუხონ მათ კითხვებს ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი უალრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ყოველი დაინტერესებული მხარისათვის.

გამოიყოფა ფინანსური ანალიზის ორი სახე: გარე და შიდა.[5] შიდა ფინანსური ანალიზი - ორგანიზაციის საქმიანობის მართვის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს. მისი მიზანია მმართველობითი გადაწყვეტილების ეკონომიკური შეფასება ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად. შიდა ფინანსურ ანალიზს ატარებენ ფინანსური მენეჯერები, ან მესაკუთრეები, ყველა არსებული ფინანსური და არაფინანსური ხასიათის ინფორმატიული მაჩვენებლების გამოყენებით.

გარე ფინანსური ანალიზი - ორგანიზაციის ფინანსების მართვის შემადგენელი ნაწილია, რომელიც გარე მომხმარებლებს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით და არის ფინანსური აღრიცხვიანობის ღია ფორმა. მას ეწოდება ასევე საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და ექვემდებარება გამოქვეყნებას. გარე ფინანსურ ანალიზს ატარებენ საგადასახადო ორგანოები, აუდიტორები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც ორგანიზაციისთვის გარეშე პირებია და არ აქვთ

შიდა საინფორმაციო ბაზაზე დაშვების უფლება. მათი მიზანია შეამოწმონ რამდენად სწორადაა ასახული ორგანიზაციის საქმიანობის ფინანსური შედეგები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზით ვლინდება ის ფაქტორები და პრობლემები, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობა. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას განისაზღვროს კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია **სათანადო სტრატეგიის** შემუშავება და მასაბამისი მეთოდის გამოყენება.

სიტყვა სტრატეგია ბერძნული strategia-დან წარმოიშვა, რაც მხედართმთავრის ხელოვნებას ნიშნავს.

ზოგადი გაგებით სტრატეგია წარმოადგენს გრძელვადიან პროგნოზზე დამყარებული დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ხელოვნებას.[5] იგი რთული მიზნების მიღწევის ხერხია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანუ სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება დასახული მიზნების მიღწევის საშუალებათა გამოყენების ხერხი, რომელსაც თან ახლავს გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო წესების ნაკრები და შეზღუდვები.

რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიას, ეს არის ზოგადი კონცეფცია საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, საწარმოს მდგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენის, ფინანსური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვისა და ამისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური განაწილების შესახებ.[13]

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია საშუალებას იძლევა მოხდეს ძალების კონცენტრირება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტების მიღებაზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება დასახულ მიზნებს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დასრულებისა და დასკვნების გაკეთების შემდეგ, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია, როგორც მიმართულება და მიზნის მიღწევის საშუალება წყვეტს თავის არსებობას. ახალი მიზნების დასახვა დღის წესრიგში აყენებს ახალი სტრატეგიის შემუშავების საკითხს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდი და ხერხები ტაქტიკას წარმოადგენს. ტაქტიკის ამოცანაა ოპტიმალური გადაწყვეტილებებისა და მოცემულ საწარმოსა და მოცემულ სიტუაციაში მისაღები მეთოდებისა და ხერხების შერჩევა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ატარებს ეკონომიკური ანალიზის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებული და კვალიფიციური ჯგუფი, დამოუკიდებელი აუდიტორი, დაქირავებული კონსულტანტი, ან ფინანსური ანალიტიკოსი.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მთავარი მიზანია შეფასდეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რის შესახებაც უნდა გაკეთდეს სათანადო დასკვნა, შემუშავდეს რეკომენდაციები და წინადადებები საწარმოს საქმიანობის სრულყოფისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მიზნის სისტემა გულისხმობს ზოგად, რთულ მიზნებს და სპეციფიკურ მიზნებს. [13] ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სპეციფიკურ მიზნებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა:

- მომგებიანობა - ანუ უნარი, მიიღოს შემოსავალი და შეინარჩუნოს ზრდის ტემპი, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში;
- გადახდისუნარიანობა - კრედიტორების წინაშე გრძელვადიან პერიოდში ვალდებულებების დაფარვის უნარი, ანუ კომპანიის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი;
- ლიკვიდურობა - აქტივების ფულად ქცევის უნარი;
- მდგრადობა - იმიჯი ინვესტორებისა და კრედიტორების წინაშე, მისი სიცოცხლისუნარიანობა;
- საწარმოს ფუნქციონირების სამეურნეო-საფინანსო პერსპექტივები, კერძოდ, გასაღების ბაზარზე პოზიციების განმტკიცება და ახალი ბაზრების ათვისება, უზრუნველყოფის დანერგვა წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, პერსონალის მოტივაციის ამაღლება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სათანადო სტრატეგია საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული არაეფექტური გადაწყვეტილებები, რამაც შეიძლება შეუქცევადი ხასიათი მიიღოს.

საბოლოო მიზნების მისაღწევად მიზანშეწონილია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შემდეგი ძირითადი მიმართულებების გამოყოფა:

- ❖ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის გეგმის შემუშავება და მისი შედეგების პროგნოზული შეფასება;
- ❖ ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების შერჩევა და მათი მნიშვნელობის დასაბუთება;
- ❖ ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის შერჩევა და მომზადება;
- ❖ ანალიზის ჩამტარებელი კვალიფიციური კადრების შერჩევა;

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში შეისწავლება საწარმოს საქმიანობის შინაარსი და ურთიერთდამოკიდებულება პარტნიორებთან, მიმდინარე წლის ფაქტიური მონაცემების შედარება წინა წლის მონაცემებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი რაციონალური დაგეგმვისა და მომავალი შემოსავლების განსაზღვრის საშუალებას უნდა იძლეოდეს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში გამოიყენება მიმდინარე და გასული პერიოდის ინფორმაციები, რათა უკეთ შეფასდეს მომავალი. ანალიზის პროცესში უნდა შეირჩეს შესაბამისი ინფორმაცია და მოხდეს მისი ინტერპრეტაციის ანალიზი, რათა მიიღოს ხელსაყრელი გადაწყვეტილება მიმდინარე და მომავალი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ინფორმაციის შერჩევისას განისაზღვრება ინფორმაციის ტიპი და რაოდენობა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმაციის ხარისხს, რათა მოხდეს მიღებული ინფორმაციის შედარება რეალურთან.

ანალიზის მონაცემთა წყაროები იყოფა: გეგმურ, სააღრიცხვო და არასააღრიცხვო წყაროებად.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩასატარებლად, როგორც წესი, გამოიყენება ფინანსური (საბუღალტრო) ანგარიშგების შემდეგ ფორმათა მონაცემები:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი;
- პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება;
- პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. მასში შეიძლება აისახოს ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე; ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ასევე შეაფასოს როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს⁴ [ბასს 1, მუხლი 10; ფასს1.]

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (ბასს1) მიუთითებს, რომ საწარმოს შეუძლია ჩამოთვლილი სახელწოდებები არ გამოიყენოს და გამოიყენოს ტერმინები „ბუღალტრული ბალანსი“ და „მოგება/ზარალის ანგარიშგება“.[1]

ფინანსური ანალიზის ჩატარების ამოსავალ წყაროს საინფორმაციო ბაზას ორგანიზაციის ბალანსი წარმოადგენს. ბალანსში დაფიქსირებული მონაცემების ანალიტიკური დამუშავება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე, მივიღოთ გადაწყვეტილება არსებული ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სხვა. ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის და მათ შორის

⁴ ბასს 1, მუხლი 10, ფასს1, 2017

ფინანსური ანალიზის ჩატარების მთავარი მიზანია: პირველი - გამოვლენილ იქნეს ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის ხელისშემშლელი მიზეზები და დასახულ იქნეს ღონიძიებები მათ აღმოსაფხვრელად; მეორე - საწარმოს განვითარების არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში განხორციელდეს პროგნოზი მოსალოდნელი შედეგების შესახებ; მესამე - მოდელირების საფუძველზე გამოინახოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის გზები და საშუალებები.⁵

იმისათვის, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ფინანსური ანგარიშგების როლსა და მნიშვნელობაზე, წარმატებული ეკონომიკური გადაწყვეტილების მისაღებად დღევანდელ ბიზნეს გარემოში, გავეცნოთ ანგარიშგების თითოეულ კომპონენტს და მათ ანალიზურ მნიშვნელობას, საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის შეფასებისათვის, თავდაპირველად განხილვა დავიწყოთ საწარმოს ბუღალტრული ბალანსით.

ბუღალტრულ ბალანსში ფიქსირდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ახასიათებს საწარმოს სამეურნეო საშუალებების მდგომარეობას და შედგენილობას, მათი წარმოქმნის წყაროებს. წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის წარმოდგენილი ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა მაჩვენებელთა შედარების გზით განვსაზღვროთ მათი ზრდა ან შემცირება. მაგრამ ბალანსში მხოლოდ ნაშთების ასახვა საშუალებს არ იძლევა მაჩვენებლების შედარების გზით პასუხი გაეცეს მფლობელებისა და სხვა დაინტერესებული პირების ყველა მოთხოვნას. სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, არა მარტო ნაშთების, არამედ სამეურნეო საშუალებებისა და მათი წყაროების მოძრაობის შესახებ, მიიღწევა ანალიზის პროცესში ფინანსური ანგარიშგების დანარჩენი კომპონენტების გამოყენების გზით.

ბუღალტრული ბალანსი დროის განსაზღვრული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულად ფორმაში ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

⁵ მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით“, თბილისი, 2019

ბალანსის ცალკეული მუხლების გაანალიზებით, ურთიერთშედარებითა და ურთიერთშეფარდებით ვლბულობთ მნიშვნელოვანი ინფორმაციას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ ინფორმაციას საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, მოზიდულ და ნასესხებ კაპიტალს შორის თანაფარდობის, საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის შესახებ. ბალანსი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ გარკვეული ტენდენციები და გავაკეთოთ პროგნოზები საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით. ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მზადდება, იგი ორი ნაწილისაგან შედგება, რომელთაგან ერთი ასახავს აქტივებს (ეკონომიკურ რესურსებს), ხოლო მეორე კი პასივებს (ეკონომიკური რესურსების ფორმირების, დაფინანსების წყაროებს), მასში საწარმოს აქტივები და მათი ფორმირების წყაროები ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - ორმხრივობის პრინციპის საფუძველზე აისახება, რომლის მიხედვითაც ორივე ნაწილში ტოლფასი სიდიდეები თავსდება⁶:

აქტივები = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები (კვატაშიძე, 2011, 74)

ეს ტოლობა ყოველთვის უნდა იყოს დაცული, თუ ბუღალტრული შეცდომა არ არის დაშვებული. ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენის“ თანახმად საწარმოებმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესატანი აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოახდინონ ბრუნვაში მონაწილეობის მიხედვით: მოკლევადიან და გრძელვადიან მუხლებად ან ლიკვიდურობის მიხედვით, როდესაც ინფორმაციის ასეთი წარდგენა უფრო სამართლიანია. საწარმოები მუხლების კლასიფიკაციის მეთოდის შერჩევის დროს უნდა ხელმძღვანელობდნენ წარდგენილი ინფორმაციისადმი საიმედოობისა და შესაბამისობის მიხედვით.

მაგალითის სახით წარმოგიდგენთ სს „თელასის“ ფინანსურ ანგარიშგებებს.

⁶ ხორავა.ა., კვატაშიძე ნ., სრესელი.ნ., გოგრიჭიანი.ზ., ფინანსური აღრიცხვა, თბილისი, 2011

სს „თელასის“ ბუღალტრული ბალანსი (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება)

31 დეკემბრის მდგომარეობით (ათ. ლარი)⁷

<i>ცხრ.1.1.1</i>				
ბუღალტრული ბალანსი (ათას ლარებში)	2015	2016	2017	2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	179.466	199.612	231.669	259.587
აქტივების გამოყენების უფლება	-	-	2.056	2.121
არამატერიალური აქტივები	1.390	1.849	1.700	1.351
რესტრუქტურირებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	4.644	3.819	3.157	2.243
სხვა გრძელვადიანი აქტივი	-	105	105	105
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>185.480</u>	<u>205.385</u>	<u>238.687</u>	<u>265.407</u>
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9.005	8.941	8.710	8.894
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	49.337	52.121	51.871	53.895
გადახდილი ავანსები	1.653	1.728	3.198	4.147
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	2.939	2.419	1.497	402
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	13.165	18.447	16.919	7.941
სულ მიმდინარე აქტივები	<u>77.843</u>	<u>289.041</u>	<u>82.195</u>	<u>75.279</u>
სულ აქტივები	<u>263.323</u>	<u>289.041</u>	<u>291.673</u>	<u>320.882</u>
კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	112.429	112.429	112.429	112.429

⁷ სს „თელასი«.წლიური ანგარიში 2016-2018 წ., დანართი, გვ.7

დამატებითი შენატანები კაპიტალში	25.747	25.747	25.747	25.747
სხვა რეზერვები	117	(1)	(126)	(500)
გაუნაწილებელი მოგება	(25.754)	13.084	15.333	42.961
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>112.539</u>	<u>151.259</u>	<u>153.383</u>	<u>180.637</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტის სესხები და თამასუქები	18.935	15.612	37.066	34.915
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	4.848	-	2.116	1.012
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	3.092	3.247	1.546	2.094
სახელმწიფო გრანტები	1.878	1.364	1.134	519
საიჯარო ვალდებულებები	-	-	1.490	1.711
სხვა ვალდებულებები	74	631	886	70
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>29.843</u>	<u>22.124</u>	<u>44.238</u>	<u>41.121</u>
მიმდინარე ვალდებულებები				
პროცენტის სესხები და თამასუქები	4.941	5.436	14.340	15.414
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	89.717	83.429	77.174	69.389
სახელშეკრულებო ვალდებულებები	-	-	7.448	8.230
მიღებული ავანსები	8.963	10.242	6.757	6.926
სახელმწიფო გრანტები	447	468	498	480
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	64	76	84	95
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	14.696	15.028	15.438	15.602
საიჯარო ვალდებულებები	-	-	571	627
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	2094	876	799	2000
გადასახდელი დივიდენდები	19	18	65	64
სხვა ვალდებულებები	-	85	87	101
სულ მიმდინარე ვალდებულებები	<u>120.941</u>	<u>115.658</u>	<u>123.261</u>	<u>118.928</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<u>263.323</u>	<u>289.041</u>	<u>320.882</u>	<u>340.686</u>

2016 წელს სს-ს არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 19 905 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად. საზოგადოების საბრუნავი აქტივები გაიზარდა 5 813 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდის გამო.

2016 წლის ბოლოს სს „თელასის“ ერთობლივი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 289 041 ათასი ლარი (ცხრ.1.1.1). აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 25 718 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდის ხარჯზე. 2016 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 19 905 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 205 385 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 5 813 ათასი ლარით და შეადგინა 83 656 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდის შედეგად.

2018 წლის ბოლოს სს „თელასის“ აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 340 686 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 19 804 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2018 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 26 720 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 265 407 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 6 916 ათასი ლარით და შეადგინა 75 279 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.[9]

ანგარიშგება არის ბუღალტრული აღივსვის წარმოების დასკვნითი ელემენტი, ამდენად ანგარიშგების შედგენისას დგინდება და შეფასდება საწარმოს საქმიანობის ყველა ასპექტი. ამასთან ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს აქვთ კომპლექსური ხასიათი, რადგანაც ისინი ასახავენ ერთი და იგივე სამეურნეო ოპერაციებს და მოვლენებს სხვადასხვა ასპექტში.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მნიშვნელოვან წყაროს წამოადგენს სრული შემოსავლების ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება, რომელიც დაზუსტებულ

სს „თელასის“ მოგება/ზარალის ანგარიშგება
(სრული შემოსავლების ანგარიშგება)⁸

(თანხა ათ.ლარი)

<i>ცხრ.1.1.2</i>				
მოგება - ზარალის ანგარიში (ათას ლარებში)	2015	2016	2017	2018
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	313,247	395,872	420,115	461,969
სხვა შემოსავალი	14,671	16,067	18,838	17,931
შესყიდული ელექტროენერგია	(226,410)	(292,731)	(321,791)	(351,065)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	(52,063)	(52,687)	(56,219)	(57,711)
ცვეთა და ამორტიზაცია	(9,161)	(9,801)	(11,824)	(13,284)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(2,409)	(2,737)	(2,931)	(4,042)
შექმნილი და გაუქმებული რეზერვები, წმინდა	(4,915)	684	533	(376)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(16,948)	(18,202)	(17,918)	(19,071)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	16,012	36,465	28,803	34,351
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	1,801	1,927	921	676
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(1,433)	(1,221)	(5,051)	(6,876)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(9,213)	(3,077)	(310)	(523)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე	7,167	34,094	24,363	27,628
ხარჯები მოგების გადახდაზე	(596)	4,744	(2,144)	-
წმინდა მოგება	6,571	38,838	22,249	27,628
სხვა სრული ზარალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიცირებას მოგება ან ზარალში მომდევნო პერიოდში				

⁸ სს „თელასი«, წლიური ანგარიში 2016-2018 წ., დანართი, გვ.6

აქტუარული ზარალი დადგენილ შენატანთან პროგრამაზე	223	(138)	(125)	(274)
მოგების გადასახადის ეფექტი	(33)	20	-	-
სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში, მოგების გადასახადის გამოკლებით	190	(118)	(125)	(374)
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	6,761	38,720	22,124	27,254
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0,00006	0,00034	0,00020	0,00024

ინფორმაციას იძლევა საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. მისი წარდგენა ხდება ორი მეთოდით: დანახარჯთა ელემენტების მიხედვით და დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

2016 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 395 872 ათასი ლარი, რაც 82 625 ათასი ლარით მეტია 2015 წელთან შედარებით. 2016 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 38 838 ათასი ლარი, გეგმიურ წმინდა მოგებასთან შედარებით 23 747 ათასი ლარი. (ცხრ.1.1.2)

2018 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 461 969 ათასი ლარი, რაც 41 854 ათასი ლარით მეტია 2017 წელთან შედარებით. ეს განპირობებულია იმით, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი გაიზარდა სემეკ-ის 2017 წლის 27 დეკემბრის №48 დადგენილების თანახმად. 2018 წლის მოგებამ შეადგინა 27 628 ათასი ლარი, 2018 წლის გეგმიურ მოგებასთან შედარებით 18 869 ათასი ლარის ოდენობით⁹.

⁹ სს „თელასი“.წლიური ანგარიში 2016-2018 წ., დანართი

სს „თელასი“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება¹⁰

<i>თანხა ათ.ლარი</i>				
<i>ცხრ.1.1.3</i>				
ფულადი ნაკადების ანგარიშგება(ათას ლარებში)	2015	2016	2017	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მომხმარებლისაგან მიღებული ფულადი სახსრები	375,333	476,783	510,967	559,503
შესყიდულ ელექტროენერგიაზე მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(220,271)	(290,406)	(310,685)	(337,418)
თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(53,541)	(53,378)	(57,165)	(58,352)
დღგ და სხვა გადასახადები, გადახდილი მოგების გადასახადის გარდა	(46,825)	(62,952)	(68,808)	(80,271)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(17,462)	(28,402)	(38,681)	(19,807)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	37,234	41,645	35,628	63,655
გადახდილი მოგების გადასახადი	(8)	-	(1,379)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	37,226	41,645	34,249	63,655
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა დღგ-ის ჩათვლით	(33,656)	(33,667)	(43,092)	(44,349)
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ფულადი სახსრების შემცირება EBRD-ის ანგარიშზე	787	723	975	1,110
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	192	40	89	-
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	1,293	1,927	870	676
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(31,384)	(30,977)	(41,158)	(42,563)

¹⁰ სს „თელასი“.წლიური ანგარიში 2016-2018 წ., დანართი, გვ.8

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	-	-	35,784	10,582
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(20,331)	(4,508)	(4,923)	(34,578)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	-	-	(799)	(885)
გადახდილი დივიდენდები	(8,783)	(1)	(19,953)	(1)
გადახდილი პროცენტები	(1,412)	(962)	(4,213)	(5,159)
ფინანსურისაქმიანობიდან (გამოყენებული/მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(30,526)	(5,471)	5,896	(30,041)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	3,223	85	(515)	(29)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება	(21,461)	5,282	(1,528)	(8,978)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	34,626	13,165	18,447	16,919
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13,165	18,447	16,919	7,941

ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშებიდან.[14] მის საფუძველზე შესაძლებელია შეფასდეს საწარმოს ფულად ნაკადებში მომხდარი ცვლილებები, დროულად მოხდეს მათზე რეაგირება, ვითარების და პირობების შესაბამისად.

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშების მონაცემები იძლევა საშუალებას დადგინდეს წლის განმავლობაში კაპიტალის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, გრძელვადიანი აქტივების გადაფასების შედეგები, დივიდენდების ოდენობა. (ცხრ.1.1.4)

სს „თელასის“ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება¹¹

(თანხა ათ.ლარი) ცხრ.1.1.4

შინაარსი	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	სხვა რეზერვე ბი	აკუმულირებული ზარალი/გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ადრე წარდგენილის შესაბამისად	112,429	25,747	(1)	13,084	151,259
ახალი სტანდარტების გამოყენების ეფექტი	-	-	-	-	-
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	112,429	25,747	(1)	13,084	151,259
წლის მოგება	-	-	-	22,312	22,187
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	(125)	-	(125)
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	(125)	22,312	22,187
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	(20,000)	(20,000)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,429	25,747	(126)	15,396	153,446
ახალი სტანდარტის გამოყენების ეფექტი	-	-	-	(63)	(63)
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	112,429	25,747	(126)	15,333	153,383
წლის მოგება	-	-	-	27,628	27,628
წლის სხვა სრული ზარალი	-	-	(374)	-	(374)
სულ წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი	-	-	(374)	27,628	27,254
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112,429	25,747	(500)	42,961	180,637

¹¹ სს „თელასი“. წლიური ანგარიში, 2018წ., გვ.9

ფინანსური ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ჩატარებული ანალიზი და მისგან გამომდინარე დასკვნა საწარმოს საქმიანობის შესახებ სრულყოფილი რომ იყოს, აუცილებელია ფინანსური ანგარიშგება აკმაყოფილებდეს ხარისხობრივ მახასიათებლებს, რომლებიც აღიარებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. კერძოდ, ფინანსური ანგარიშგება უნდა იყოს აღქმადი [11], შესაბამისი, საიმედო და შესადარისი. ანალიზის ჩამტარებლისათვის ფინანსური ინფორმაცია მაშინ არის საიმედო, თუ ის ნეიტრალურად, მიკერძოების გარეშე ასახავს საწარმოს საქმიანობას, შინაარსით ფორმაზე აღმატებულია, სამართლიანად არის წარმოდგენილი, დროულია და სრული. ფინანსური ანგარიშგება, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს და მის საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები, ასევე ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შემოთავაზებული რეკომენდაციები სასარგებლო ეფექტის მომტანია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგების ობიექტურობა დამოკიდებულია ფინანსური კოეფიციენტების გაანგარიშების სიზუსტეზე, ხოლო ამ მაჩვენებელთა დინამიკის ანალიზი დაუშვებელია მაჩვენებელთა შესადარისობის გარეშე. აღნიშნულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკას. თუ საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას და საანალიზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა განსხვავებული მეთოდები [3;11;6], თავისთავად ცხადია, მაჩვენებელთა შესადარისობის პრობლემა იქმნება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა თავის მხრივ მოიცავს: ანალიზური სამუშაოების ჩატარების თანმიმდევრობას, ანუ ანალიზის ტექნოლოგიას და ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ხერხებს, რომლებიც ანალიზის ინსტრუმენტებსაც უწოდებენ.

ფინანსური ანალიზის ტექნოლოგია ანალიზის ჩატარების გარკვეული ეტაპების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

- ანალიზის მიზნისა და ამოცანის განსაზღვრა, საანალიზო დარგისა და ობიექტების შერჩევა, ანალიზური სამუშაო გეგმის შედგენა;

- მაჩვენებელთა სისტემის შერჩევა, რომელიც საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა;
- ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, მათი სიზუსტისა და შესადარისობის უზრუნველყოფა;
- ფინანსური მდგომარეობის ძირითად მაჩვენებელთა გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებელთან, წინა პერიოდების მაჩვენებლებთან, დარგის საშუალო და საუკეთესო საწარმოს მაჩვენებლებთან შედარება;
- ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტების გამოყოფა;
- ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და ამ ფაქტორთა გავლენის დადგენა;
- ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის მეორე ელემენტი - ანალიზის ჩატარების ტექნიკური ხერხები, თავის მხრივ აერთიანებს ტრადიციულ ლოგიკურ (შედარების, დაჯგუფების, ბალანსური კავშირის საშუალო და შედარებითი სიდიდეების, ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის) და მათემატიკურ (ლოგარითმული მეთოდის, ინტეგრალური მეთოდის, კორელაციის, წრფივი პროგრამირების, მრავალგანზომილებიანი მათემატიკური მოდელების) ხერხებს.

საწამოს ფინანსურ მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და ისინი ხშირად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. სამეურნეო მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. რაც უფრო დეტალურად იქნება გამოკვლეული ფაქტორთა გავლენა მაჩვენებლის სიდიდეზე, მით უფრო ობიექტური იქნება ანალიზის შედეგები. ფაქტორთა გავლენის დეტალური ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასაბუთებული დასკვნები, გამოვლენილ იქნეს გამოუყენებელი რეზერვები, მიღებულ იქნეს ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგს განსაზღვრავს ამ ანალიზის ჩატარების მიზანი. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ფინანსური მდგომარეობის დესკრეპტულ, პრედიკატულ და ნორმატიულ ანალიზს.[5]

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისათვის ძირითადად დესკრეპტული (ლათინური „de“-მოქმედების დასრულება, „scriber“-აღწერა), აღწერითი ხასიათის ანალიზი გამოიყენება. ასეთი ანალიზის მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. იგი ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების წარდგენას სხვადასხვა ანალიზურ ჭრილში ანუ ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ანალიზს, ანალიზური კოეფიციენტების სისტემის გამოყენებას. ასეთი ანალიზი ძირითადად ბუღალტრული ანგარიშგების ინფორმაციას ემყარება.

საწარმოს მომავალი შემოსავლებისა და მომავალში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირებისათვის გამოიყენება პრედიკატული (ლათინური „prae“-წინ, „dicere“-გახმოვანება) - წინასწარმჭვრეტელობითი, პროგნოზირებადი ხასიათის ანალიზი.

ნორმატიული ანალიზი - საშუალებას იძლევა საწარმოს საქმიანობის ფაქტიური შედეგები შედარებულ იქნეს გეგმით გათვალისწინებულთან, მოსალოდნელ შედეგებთან.

არსებობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის რამდენიმე მეთოდიკა. ანალიზის მეთოდიკის პროცედურული ნაწილის დეტალიზაცია დამოკიდებულია დასახულ მიზნებზე, ასევე ინფორმაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის ფაქტორებზე.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად [13], მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის შემდეგი მეთოდების გამოყენება¹²:

- ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი;
- დარგობრივი შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარების მეთოდი;
- კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი.

¹²Жарковская Е.П., Бродский Б.Е., Антикризисное управление. „Омега- Л“, 16-24 с., М.2004

ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი გულისხმობს ანგარიშგებაში წარმოდგენილი მაჩვენებლების აბსოლუტური მნიშვნელობების შესწავლას საწარმოს საშუალებების ძირითად წყაროთა, მოგების და დივიდენდური პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით. ასეთი ანალიზით საწარმოს ფინანსური მდგომარეობების შესახებ თავდაპირველი შთაბეჭდილების ფორმირება ხდება. გამოყოფენ ანგარიშგების წაკითხვის შემდეგ ძირითად მეთოდებს:

- ჰორიზონტალური (დროის მიხედვით) ანალიზი
- ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი
- ტრენდული ანალიზი
- შეფარდებით მაჩვენებელთა (კოეფიციენტების) ანალიზი
- შედარებითი (სივრცობრივი) ანალიზი
- ფაქტორული ანალიზი

ფინანსური ანალიზის კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად და ფინანსური მდგომარეობის კვალიფიციური შეფასებისათვის იყენებენ ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, მაგრამ თუ ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენება ხდება ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ამ მიზნის მიღწევა ძნელია. ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ფინანსური მაჩვენებლების, ანუ კოეფიციენტების გამოყენება. ფინანსური კოეფიციენტები ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედარებით სწრაფ და მარტივ სასუალებას წარმოადგენს. ფინანსური კოეფიციენტები გვიჩვენებს თანაფარდობას ფინანსური აღრიცხვის ორ მაჩვენებელს, ან ფინანსური ანგარიშგების ორ მუხლს შორის. თუ ფინანსური კოეფიციენტების ფაქტიური დონე შესადარის ბაზაზე უარესია, ეს მიუთითებს საწარმოს საქმიანობის სუსტ მხარეებზე, რომელიც საჭიროებს დამატებით ანალიზს. ამ უკანასკნელმა კი შეიძლება არ დაადასტუროს ნეგატიური შეფასება.

ფინანსურ კოეფიციენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მენეჯმენტისათვის, იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გარემომხმარებლების, აქციონერების და კრედიტორების მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველს. ამ შეფასების მიხედვით კი მენეჯმენტი

განსაზღვრავს ფინანსური ანალიზის მიზნობრივ ორიენტირებს იღებს შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებას. ფინანსურ ანალიზში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კოეფიციენტების ჩამონათვალი ან მათი გამოთვლის სტანდარტული ხერხი¹³.

ფინანსური კოეფიციენტების გასაანგარიშებლად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მონაცემები. ანალიზის პროცესში გაითვალისწინება ამ კოეფიციენტების შემადგენელი ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება და განისაზღვრება ფაქტორთა გავლენა საანალიზო მაჩვენებლებზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და საწარმოს შესაძლო გაკოტრების შეფასებისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ერთი, თუნდაც შედარებით უნივერსალური მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება ეკონომიკის ყველა დარგისა და ყველა სახის საქმიანობისათვის.

ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი ანალიზის ყველაზე მეტად ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. იგი მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი მიმართულებებისა და ფაქტორთა გავლენის დადგენის საშუალებას იძლევა, რაც ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ტენდერული ანალიზის საშუალებით ვერ ხერხდება. სწორედ ფინანსური კოეფიციენტები (ფარდობითი მაჩვენებლები) წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ფუნდამენტურ მეთოდს. წლების განმავლობაში ინვესტორებმა და ანალიტიკოსებმა განავითარეს დიდი რაოდენობით საანალიზო ინტერუმენტები ფინანსური კოეფიციენტების სახით, რათა ერთმანეთისათვის შეედარებინათ სხვადასხვა კომპანიების ძლიერი და სუსტი მხარეები. ფინანსური კოეფიციენტები ყველაზე ხშირად გამოიყენება ანალიზისათვის, ვინაიდან მისი მეშვეობით ხდება ინფლაციური პროცესების იგნორირება და ერთმენტს უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების სამი მთავარი კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს საანალიზო ინფორმაციის რეალურ და ფართო არეალს. აღსანიშნავია, რომ გასაანალიზებელი კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები შესალებელია შევადაროთ:

¹³თურმანიძე თ., „ფინანსური ანალიზი“, სამართლიანი საქართველო, თბილისი 2014

- ❖ საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია რისკისა და შესაძლებელი გაკოტრების შეფასებისთვის;
- ❖ სხვა საწარმოების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი შესაძლებლობები;
- ❖ წინა წლების მონაცემებს, რათა შევისწავლოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ან გაუარესების ტენდენციები.

ისმება კითხვა თუ რატომ უნდა დავკარგოთ დრო კოეფიციენტების გამომანგარიშებაზე? რატომ არ ვსწავლობთ თვითონ საწყის მაჩვენებლებს? ჩვენ ვითვლით კოეფიციენტებს რადგან ამგვარად ვადარებთ მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება იყოს უფრო გამოსაყენებელი, ვიდრე თვითონ საწყისი მაჩვენებლები. საზოგადოდ არსებობს ორი ტიპის ფინანსური კოეფიციენტი. პირველი ტიპის კოეფიციენტი იძლევა ინფორმაციას კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე დროის განსაზღვრულ მომენტში, ამ ტიპის კოეფიციენტებს ეწოდებათ ბალანსური კოეფიციენტები, ამ შემთხვევაში ბალანსური კოეფიციენტის მრიცხველი და მნიშვნელი აღებულია ბალანსის უწყისიდან. მეორე ტიპის კოეფიციენტი ინფორმაციას იძლევა კომპანიის საქმიანობის რაიმე ასპექტებზე გარკვეული დროის პერიოდში, ჩვეულებრივ ერთი წლის მანძილზე. ასეთ კოეფიციენტებს ეწოდება შემოსავლის ანგარიშის კოეფიციენტები ან შემოსავლის/ბალანსის ორივე ანგარიშგების კოეფიციენტები იქიდან გამომდინარე რომ მონაცემები კოეფიციენტში აღებულია, მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან და ბუღალტრული ბალანსის ანგარიშგებიდან.

ფინანსური დიაგნოსტიკისას მნიშვნელოვანია გასაანალიზებელი ფინანსური კოეფიციენტების სწორი შერჩევა, რისთვისაც პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ სასურველი შედეგებისა და მიზნების განსაზღვრა, რაც უნდა იქნას მიღწეული ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის შემდგომ. ფინანსური კოეფიციენტები ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე იყოფა კატეგორიებად, კერძოდ კოეფიციენტები რომლებიც გვიჩვენებენ კომპანიის ქონებრივ მდგომარეობას, ლიკვიდურობას, ფინანსურ სტაბილურობას, საქმიან აქტივობას, მომგებიანობას, ინვესტიციების ეფექტიანობას და ა.შ.

1.2 საწარმოს ქონებრივი მდგომარეობისა და საქმიანი აქტივობის ანალიზი

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის შეფასებისას აუცილებელია ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, ვინაიდან მისი არაკეთილსასურველი მდგომარეობა სხვა დანარჩენ მაჩვენებლებთან ერთად შეიძლება საწარმოს გაკოტრების მიზეზი გახდეს.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის დროს შეისწავლება საწარმოს განკარგულებაში მყოფი მატერიალური, ფულადი და არამატერიალური რესურსების მოცულობის, სტრუქტურის და დინამიკის მაჩვენებლები. ამასთან, საწარმოს რესურსები ანუ აქტივები განიხილება ერთი მხრივ ფუნქციონალური სახეების მიხედვით და დაფინანსების წყაროების მიხედვით - მეორე მხრივ.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანებია^[13]:

- საწარმოს ქონების ანუ აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
- მიმდინარე აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურისა, დინამიკის და მდგომარეობის შესწავლა;
- აქტივების დაფინანსების წყაროების სტრუქტურული შესწავლა.¹⁴

ანალიზის მიზანია გამონახოს აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების ოპტიმალური სტრუქტურის მიღწევის გზები.

ანალიზის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსის მიმდინარე და წინა წლების ფაქტობრივი და გეგმური ინფორმაცია. ფინანსურ მენეჯმენტს შესაძლოა დასჭირდეს სხვა უფრო დეტალური ინფორმაციაც.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობა შეისწავლება მათი სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტების, მდგომარეობის და გამოყენების მაჩვენებლების მეშვეობით.

ეს მაჩვენებლებია:

¹⁴ ჭილაძე ი., გოგრიჭიანი ზ., „ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011

აქტივების მოცულობის ცვლილება ანუ გადახრები წინა წელთან ან გეგმასთან შედარებით, რომელიც ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნის შესადაარისად, ბალანსში, აქტივების შემადგენლობაში ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებითაა მოცემული. ხოლო, მოთხოვნები შემცირებულია საექვო მოთხოვნების თანხით. აქტივების საბალანსო ღირებულება ცხადია, ხშირად არ ემთხვევა მათ მიმდინარე საბაზრო ღირებულებას. ამიტომ, პერიოდულად ხდება გრძელვადიანი აქტივების გადაფასება.¹⁵

$$\text{მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი აქტივებში} = (\text{მიმდინარე აქტივები} / \text{აქტივების ჯამი}) * 100\%$$

$$\text{ჩვენს მაგალითზე: } (82\ 195 / 320\ 882) * 100\% = 25.62 \text{ (2017 წელს)}$$

$$(75\ 279 / 340\ 686) * 100\% = 22.1 \text{ (2018 წელს)}$$

იგი აჩვენებს რა წილი უჭირავს მიმდინარე აქტივებს მთელ აქტივებში. მიმდინარე აქტივები ისეთი ქონებაა, რომელიც ბალანსის შედგენის დღიდან თორმეტი თვის განმავლობაში ნავარაუდევია გადაიქცეს გაცვლის საშუალებად ანუ გადაიქცევა სახსრებად.

$$\text{გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში} = (\text{გრძელვადიანი აქტივები} / \text{აქტივების ჯამი}) * 100\%$$

გამოითვლება ასევე ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე.

$$\text{ჩვენს მაგალითზე: } (238\ 687 / 320\ 882) * 100\% = 74.38 \text{ (2017 წელს)}$$

$$(265\ 407 / 320\ 882) * 100\% = 82.71 \text{ (2018 წელს)}$$

¹⁵ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“ (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი), მესამე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2018;

ძირითადი საშუალებები საწარმოს ტექნიკური ბაზის მდგომარეობის განმსაზღვრელია. იგი თავის მხრივ აქტიურ და პასიურ ნაწილად იყოფა. ანალიზის დროს ინტერესს იწვევს აქტიური ძირითადი საშუალებების ხვედრითი წილი მთელ ძირითად საშუალებებში, რომელიც გაიანგარიშება მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულების შეფარდებით ძირითადი საშუალებების მთლიან მოცულობასთან¹⁶. [2]

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი - გაიანგარიშება დაგროვილი ცვეთის თანხების შეფარდებით ძირითადი საშუალებების პირვანდელ ღირებულებასთან. იგი აჩვენებს ძირითადი საშუალებების ღირებულების რა ნაწილია გადატანილი შექმნილი პროდუქციის თვითღირებულებაში. ცვეთის კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, ძირითადი საშუალებები მით უფრო ძველია. ცვეთის კოეფიციენტი შეიძლება პროცენტულადაც გამოისახოს.

ძირითადი საშუალების ვარგისიანობის კოეფიციენტი = ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება/ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება.

იგი ახასიათებს რამდენი პროცენტი დარჩა ძირითადი საშუალებების ღირებულების ამოწურვამდე ანუ ექსპლუატაციიდან გასვლამდე.

ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი - გაიანგარიშება წლის განმავლობაში შეძენილი ახალი ძირითადი საშუალებების ღირებულების შეფარდებით წლის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან. იგი ახასიათებს ძირითადი საშუალებების განახლების დონეს მოცემულ პერიოდში.

წმინდა აქტივების ღირებულება = აქტივების საბალანსო ღირებულებას - ვალდებულებების მოცულობა.

იგი ახასიათებს ქონების იმ ნაწილს, რომელიც მეწარმეს საკუთარი სასხრებით აქვს შეძენილი. რაც უფრო მაღალია წმინდა აქტივების წილი საბალანსო ღირებულების მიმართ, მით უფრო დაბალია ბიზნესის ფინანსური რისკები.

¹⁶ ბასს 16 ძირითადი საშუალებები, 2017

*საკუთარი საბრუნავი სახსრები = მიმდინარე აქტივები- მიმდინარე
ვალდებულებები- მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი
ვალდებულებების ჯამს*

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა - აჩვენებს, მატერიალური მარაგები იფარება თუ არა საკუთარი საბრუნავი სახსრებით. განისაზღვრება საკუთარი საბრუნავი სახსრებისა და მოკლევადიანი მატერიალური აქტივების ნაშთებს შორის სხვაობით ან ხვედრითი წილის კოეფიციენტით.

ამდენად, აქტივის სტრუქტურული კოეფიციენტები მთლიანად ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ცნების ქვეშ იგულისხმება საწარმოში არსებულ რესურსებში წინასწარ გაღებული, ანუ ავანსირებული, ანუ წინასწარ დაბანდებული სახსრების გამოყენების ტემპი, სიჩქარე.

ბიზნესის, მფლობელების და მმართველების მიერ დასახული ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მოითხოვს სათანადო სახის რესურსების არა მხოლოდ შექმნის, არამედ, გარკვეული მოცულობით, მათ მუდმივად არსებობას.

ზოგადად ქონებაში დაბანდებული სახსრების ბრუნვადობა შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით ფასდება[5]:

- ბრუნვის სიჩქარე (ბრუნვების სიჩქარე, რომელსაც საანალიზო პერიოდის განმავლობაში ასრულებს საწარმოს კაპიტალი ან მისი შემადგენლები) და
- ბრუნვის პერიოდი - საშუალო ვადა, რომლის განმავლობაშიც სრულდება სახსრების ერთი ბრუნვი.

რაც უფრო სწრაფად ბრუნავს სახსრები, კაპიტალის იმავე სიდიდის პირობებში, მით მეტ პროდუქციას აწარმოებს და ყიდის ორგანიზაცია. ამგვარად, ბრუნვადობის დაჩქარების ძირითად ეფექტს წარმოადგენს გაყიდვების გაზრდა ფინანსური რესურსების დამტებითი მოზიდვის გარეშე. გარდა ამისა, რადგანაც ბრუნვის დასრულების შემდეგ კაპიტალი ბრუნდება ნამატიტ მოგების სახით, ბრუნვადობის დაჩქარება იწვევს მოგების ზრდას. მეორე მხრივ, რაც ნაკლებია აქტივების, უპირველესად კი მიმდინარე (მოკლევადიანი) აქტივების, ბრუნვის სიჩქარე, მით მეტია

დაფინანსების საჭიროება. გარე დაფინანსება ძვირადღირებულია და გარკვეული შემზღლუდავი პირობებიც გააჩნია. კაპიტალის ზრდის საკუთარი წყაროები შეზღლუდულია, პირველ რიგში, აუცილებელი მოგების მიღების შესაძლებლობით. ამგვარად, აქტივების ბრუნვადობის მართვისას ორგანიზაცია იღებს შესაძლებლობას, ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახსრების გარე წყაროებზე და გაზარდოს თავისი ლიკვიდობა.

საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები ახასიათებს, პირველ რიგში, სახსრების გამოყენების ეფექტიანობას და მეორეც, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის, რადგანაც ასახავს წარმოების საშუალებებისა და დებიტორული დავალიანების ფულად სახსრებად გადაქცევის სიჩქრეს და მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის ვადას.

მაშასადამე, საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის მიზანია გამოიკვლიოს დაბანდებული სახსრების ბრუნვადობის დაჩქარების გზები, საწარმოს ფინანსური სტაბილურობის გასამყარებლად.[5;15]

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ანალიზის ამოცანებია:

- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის შესწავლა;
- ფულადი ნაკადების სტაბილურობის დადგენა;
- ფინანსური ანგარიშგების პროგნოზირებისათვის ინფორმაციის მომზადება;
- ბრუნვადობის დაჩქარებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

საქმიანი აქტივობის ანალიზის საფეხურებია:

- სათანადო ინფორმაციის მოგროვება და დაჯგუფება;
- ანალიზური ცხრილების მომზადება;
- ბრუნვადობის მაჩვენებლების დინამიკის შესწავლა;
- საბრუნავი საშუალებების ანალიზი;
- ძირითად საშუალებებში ავანსირებული ღირებულების წრებრუნვის შეფასება;
- ბრუნვადობის დაჩქარების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

საწარმოს საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლებია საბრუნავი კაპიტალი ანუ მიმდინარე აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებლები. ესენია:

- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის საერთო მაჩვენებლები;
- ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კერძო მაჩვენებლები;
- ფულადი ბრუნვის მაჩვენებლები.

საქმიანი აქტიურობა ხასიათდება დადებითად, თუ დაცულია შემდეგი პირობები: საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი (საქმიანობის მოცულობა) იზრდება; რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მოცულობა უფრო მეტად იზრდება ვიდრე ავანსირებული კაპიტალი ანუ საწარმოს რესურსები უფრო ეფექტურად გამოიყენება; მოგება იზრდება უფრო მაღალი ტემპით, ხარჯების შემცირების ტემპთან შედარებით. ამ პირობებს „საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს“ უწოდებენ.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი სახეობაა ელექტროენერჯის შესყიდვა და ქ. თბილისში (საქართველო) კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე განაწილება. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

2018 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 461 969 ათასი ლარი, რაც 41 854 ათასი ლარით მეტია 2017 წელთან შედარებით (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ). (2018 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი გაიზარდა სემეკ-ის 2017 წლის 27 დეკემბრის №48 დადგენილების თანახმად)¹⁷

ძირითადად, 2018 წელს ტარიფის გაზრდის შედეგად გაიზარდა ამონაგები:

1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვიდან 11 843 ათასი ლარით;

¹⁷ სს „თელასი“.წლიური ანგარიში 2017-2018 წ.,

“სს თელასის” საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლების დინამიკა ცხრილის სახით¹⁸

(თანხა ათ. ლარი) ცხრ.1.2.1

ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	ცვლილების %
ამონაგები	420 115	461 969	10
სხვა ხარჯები	18 838	17 931	(5)
შესყიდული ელექტროენერგია	(321 791)	(351 065)	9
შრომის ანაზღაურება და მუშაკების სხვა ანაზღაურება	(56 219)	(57 711)	3
ცვეთა და ამორტიზაცია	(11 824)	(13 284)	12
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(2 931)	(4 042)	38
ფორმირებული და სტორნირებული რეზერვები, ნეტო	533	(376)	(171)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(17 918)	(19 071)	6
საოპერაციო მოგება	28 803	34 351	19
ფინანსური შემოსავლები	921	676	(27)
ფინანსური ხარჯები	(5 051)	(6 876)	36
ზარალი კურსის სხვაობის შედეგად, ნეტო	(310)	(523)	68
მოგება დაბეგვრამდე	24 363	27 628	13
სარგებელი/(ხარჯი) მოგების გადასახადის შესაბამისად	(2 114)	(0)	(100)
მოგება წლის განმავლობაში	22 249	27 628	24
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი, რომელიც არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მოგებისა და ზარალის შემადგენლობაში შემდგომ პერიოდებში			

¹⁸ სს „თელასი“.წლიური ანგარიში 2017-2018 წ.,

აქტუარული (ზარალი)/შემოსავლები	(125)	(374)	199
დადგენილი გადახდების მქონე საპენსიო პროგრამიდან			
მოგების გადასახადის ზეგავლენა	-	-	-
სხვა ერთიანი (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში, დაბეგვრის გამოკლებით	(125)	(374)	199
სულ ერთიანი შემოსავალი წლის განმავლობაში	22 124	27 254	23
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	0.00020	0.00024	23

2. კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების შედეგად გაიზარდა 26 920 ათასი ლარით;
3. ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად გაიზარდა 1 955 ათასი ლარით;
4. ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად 1 136 ათასი ლარით.

2018 წლის მოგებამ შეადგინა 27 628 ათასი ლარი, 2018 წლის გეგმიურ მოგებასთან შედარებით 18 869 ათასი ლარის ოდენობით.[9] (ცხრილი 1.2.1)

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები გაიზარდა 26 720 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის შედეგად. (ცხრილი 1.2.2)

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 6 916 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი ფასს-სტანდარტი 16 „იჯარა“, რომლის შედეგად კომპანიამ რეტროსპექტიულად ასახალ აქტივები, სარგებლობის უფლების და საიჯარო ვალდებულების ფორმით¹⁹. (ფასს 16.იჯარა)

¹⁹ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16. იჯარა

სს „თელასის“ საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურას:

(თანხა ათ. ლარი) ცხრ.1.2.2

მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	ცვლილების %
არასაბრუნავი აქტივები	238 687	265 407	11
საბრუნავი აქტივები	82 195	75 279	(8)
სულ აქტივები	320 882	340 686	6
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	153 383	180 637	18
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	37 066	34 915	(6)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სასამართლო სარჩელების რეზერვები	2 116	1 012	(52)
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	1 546	2 094	35
სახელმწიფო სუბსიდიები	1 134	519	(54)
საიჯარო ვალდებულებები	1 490	1 711	15
სხვა ვალდებულებები	886	870	(2)
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	44 238	41 121	(7)
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტული კრედიტები, სესხები და თამასუქები	14 340	15 414	7
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	77 174	69 389	(10)
მიღებული ავანსები	6 757	6 926	2
საკონტრაქტო ვალდებულებები	7 448	8 230	10
სახელმწიფო სუბსიდიები	498	480	(4)
ანაზღაურებები შრომითი საქმიანობის დასრულებისას	84	95	13
წმინდა საგადასახადო ვალდებულებები	15 438	15 602	1
სასამართლო სარჩელების რეზერვები	799	2 000	150
საიჯარო ვალდებულებები	571	627	10

სხვა ვალდებულებები	87	101	17
გადასახდელი დივიდენდები	65	64	(2)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	123 261	118 928	(4)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	320 882	340 686	6

1.3 საწარმოს ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს წარმოადგენს ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა. თუ ამ მაჩვენებლების მიხედვით საწარმოს აქვს უნარი დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით, მაშინ იგი ფინანსურად მდგრად საწარმოდ ითვლება.

ლიკვიდობაში იგულისხმება აქტივების სწრაფი და იოლი მობილიზაციის უნარი. ტერმინი „ლიკვიდური“ ლათინურიდან - თხევადს, მოძრავს ნიშნავს. ეკონომიკაში მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და საწარმოში ყველაზე სწრაფად მოძრავი საშუალებების - ფულადი თანხების არსებობას გულისხმობს.

განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას[13].

აქტივების ლიკვიდობა შეფარდებითი ცნებაა, ვინაიდან მათი გაყიდვა ბოლოს და ბოლოს ყოველთვის შესაძლებელია. აქტივების ლიკვიდურობის არსი ფულად საშუალებებად ქცევის უნარია. აღიარებულია, რომ შედარებით ნაკლებად ლიკვიდურის უძრავი ქონება. აქტივების ფულად ქცევის უნარი განაპირობებს ყველა აქტივის განლაგებას ლიკვიდობის „კიბეზე“ ზრდადობის მიხედვით.

ლიკვიდობა წარმოადგენს ცალკეულ ფასეულობათა ფულად ფორმაში გადასვლის უნარს, თავისი საბალანსი ღირებულების არსებითი ცვლილებების გარეშე. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება დროის ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს.[13]

ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი ქონება საშუალებას იძლევა აქტივების სწრაფი რეალიზაციის ხარჯზე დაფაროს ვალდებულებები, ე.ი. გააჩნია შესაძლებლობა

მოცემულ დროს უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა თავისი აქტივებით, სხვა წყაროების ან სახსრების მოზიდვის გარეშე.

საწარმოს ლიკვიდურობა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ბალანსის ლიკვიდურობა. ბალანსის ლიკვიდურობა ითვალისწინებს გადახდის საშუალებათა არსებობას შიდა წყაროების ხარჯზე (აქტივების რეალიზაცია). ამავე დროს საწარმოს შეუძლია ნასესხები სახსრების მოზიდვა გარედანაც, თუკი მას გააჩნია შესაბამისი იმიჯი საქმიან სფეროში და საინვესტიციო მიმზიდველობის საკმაოდ მაღალი დონე.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწარმოს ლიკვიდურობის ქვეშ იგულისხმება მისი უნარი შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, გააჩნია რა, ამისათვის საკმარისი ოდენობით სახსრები.

ერთი შეხედვით, ლიკვიდურობა ასეთი ფორმულირებით არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ე.ი. საწარმოს უნარისაგან პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის კონკრეტულ მომენტისათვის.[13]

გადახდისუნარიანობა ნიშნავს საწარმოს უნარს, დროულად დაფაროს ვალდებულებები. რადგან ვადაგადაცილებული დავალიანებები დიდი რაოდენობით ჯარიმების გადახდას იწვევს, საწარმოს მენეჯმენტი დაინტერესებულია გამუდმებით აკონტროლოს გადახდისუნარიანობის დონის ცვლილებები. საწარმოს გადახდისუნარიანობის ხარისხი აგრეთვე აინტერესებთ მესაკუთრეებს, პარტნიორებს, სამთავრობო სტრუქტურებს და მთელ საზოგადოებას.

საწარმოს გადახდისუნარიანობა სხვადასხვა მაჩვენებლებით ხასიათდება. როგორცაა: გადახდისუნარიანობის ბალანსი, ლიკვიდურობის კოეფიციენტი და მარაგების დაფარვის მაჩვენებლები.

საწარმოს გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდობის ანალიზის საფუძვრებია²⁰:

- გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების დინამიკის (ტრენდების) შესწავლა;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზი;

²⁰ ჩეჩელაშვილი ა., ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. თბილისი 2013

- დასკვნის გაკეთება და საჭირო ღონისძიების შემუშავება.

გადახდისუნარიანობის ბალანსი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურას და ახასიათებს, მიმდინარე აქტივები ფარავს თუ არა მიმდინარე ვალდებულებებს. როგორც წესი, მიმდინარე აქტივები ვალდებულებებზე მეტი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება საბრუნავი საშუალებების დეფიციტს. გადახდისუნარიანობის ბალანსი დგება ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე.

ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა არ არის იგივერი მცნებები.[10] მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, თუმცა ეს შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ საბრუნავი აქტივების შედგენილობაში საჭიროებს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებანი და ისეთი აქტივები, რომელთა რეალიზება შეუძლებელია არსებითი ფინანსური დანაკარგების გარეშე.

ლიკვიდურობა ნაკლებად დინამიურია გადახდისუნარიანობასთან შედარებით. ლიკვიდურობის კოეფიციენტი ჩვეულებრივად მერყეობს გარკვეულ ფარგლებში და ანალიტიკოსებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ შესაბამისი დასკვნები და ორიენტაცია აიღონ საწარმოს საქმიანობის ახალ მიმართულებებზე. რაც შეეხება გადახდისუნარიანობას, ის შეიძლება ძალზე ცვალებადი იყოს, დღიდან დღემდე. ერთ დღეში საწარმოს გადახდისუნარიანიდან შეიძლება გადახდისუნარო გახდეს მორიგ კრედიტორთან ანგარიშსწორების დროის დადგომისას, თუ მას ფული არ გააჩნია დებიტორების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო.

გადახდისუნარიანობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, დროებითი და ხანგრძლივი, ქრონიკული. მისი გამომწვევი მიზეზებია: ფინანსური რესურსებით არასაკმარისი უზრუნველყოფა, რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობა, საბრუნავ საშუალებათა არარაციონალური სტრუქტურა, კონტრაგენტებისაგან გადასახდელთა არადროული მიღება და სხვა.

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა შეიძლება შეფასდეს რიგი აბსოლუტური და შედარებითი მაჩვენებლებით. ძირითად აბსოლუტურ მაჩვენებლებს წამოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა.

საწარმოს ლიკვიდურობის განსაზღვრა ხდება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობის დადგენით.

ლიკვიდურობის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშება:

- ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი;
- მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში;
- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი

ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტის გაანგარიშება. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით ამ მაჩვენებელს ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტს უწოდებენ²¹.

[30]

$$\text{სსს მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$$

იგი გვიჩვენებს, საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ საშუალებებს. იგი ნულიდან ერთამდე მერყეობს. ამ მაჩვენებლების ზრდა დადებითად მოვლენას წარმოადგენს. მისი სიდიდე საწარმოში თავისუფალი ფულადი თანხების საჭიროებაზეა დამოკიდებული.

²¹ Ковалёв В.В., Финансовый анализ. Управление капиталом, Выбор инвестиций, Анализ отчётности. 2-е изд. перераб. и доп. „Финансы и статистика“.2007

მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი - აქტივების ლიკვიდურობის ზოგად შეფასებას იძლევა. მას მოკლედ საბრუნავი კაპიტალის (საბრუნავი საშუალებები) კოეფიციენტსაც უწოდებენ. იგი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივები რამდენჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. ანუ, არსებული და მთლიანად მისაღები ფულადი თანხებით შესაძლებელია თუ არა მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა [14].

მიმდ. ლიკვიდ. კოეფიციენტი = მიმდ. აქტივები / მიმდ. ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Acid-test (quick) ratio) – მჟავა-ტესტის სახელით ცნობილი), ანუ კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი წარმოადგენს ლიკვიდურობის უფრო დამაჯერებელ შემოწმებას. კომპანიათა უმრავლესობის სასაქონლო-მატერიალური მარაგების მომენტალურად ფულად ქცევა შეუძლებელია, ამიტომ უმჯობესია ამ კონკრეტული აქტივის გამორიცხვა ლიკვიდურობის მაჩვენებლის გაანგარიშებისას, ე.ი. ფულადი საშუალებებისა და დებიტორული დავალიანებების ჯამი შეფარდებული უნდა იქნეს მოკლევადიან ვალდებულებებთან. ამრიგად, კოეფიციენტის მრიცხველი არ მოიცავს მარაგებს.[14].

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები) / მიმდინარე ვალდებულებები

იგი ახასიათებს საწარმოში არსებული და მისაღები ფულადი თანხები, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს. ეს კოეფიციენტი ერთსა და ორს შორის უნდა მერყეობდეს. მინიმალური ფარდობა 1:1.

აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, თუ მოკლევადიანი ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება დაიფაროს დაუყოვნებლივ. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის, ფულადი სახსრების ხარჯზე უნდა დაიფაროს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ძალზე მცირეა იმის ალბათობა, რომ ყველა კრედიტორი ერთდროულად წაუყენებს საწარმოს მოთხოვნებს.

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები /

მიმდინარე ვალდებულებები

იდეალურ შემთხვევაში ეს კოეფიციენტი 0,2-ზე ანუ 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში - ახასიათებს მარაგების ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, მისი ქვედა ზღვარი 50%-ის ტოლი უნდა იყოს. ამ მაჩვენებლის გასაანგარიშებლად საჭიროა შემდეგი ფორმულა:

საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში =

საკუთარი საბრუნავი საშუალებები / მარაგები

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი განისაზღვრება მარაგების დაფარვის „ნორმალური“ წყაროების თანაფარდობით მარაგების ოდენობასთან. ასეთ წყაროებად ითვლება ლოგიკურად მარაგების დაფარვის წყაროებად მიჩნეული წყაროები. ასეთია საკუთარი საბრუნავი საშუალებები, ბანკის სესხები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის, კრედიტორული დავალიანება წარმოქმნილი საქონლის, ნედლეულისა და მასალების მოწოდების შედეგად. თუ მარაგების დაფარვის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, მაშინ საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა არამდგრადია. ამ მაჩვენებლის გამოყენება ანალიზში საშუალებას იძლევა შემოწმდეს რომელი წყაროები და რა ოდენობით გამოიყენება მარაგების დასაფარავად. [14]

მარაგების დაფარვის კოეფიციენტი = (საკუთარი საბრუნავი საშუალებები + ბანკის

სესხები სასაქონლო მატერ. ფასეულობებისათვის + კრედიტორული დავალიანება) /

მარაგები

ანალიზის პროცესში აუცილებელია საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიდიდის გაანგარიშება, რომელიც მიმდინარე აქტივების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიდიდე ტოლია მიმდინარე აქტივების მეტობისა მიმდინარე ვალდებულებებზე.

ანალიზის დროს აგრეთვე შეისწავლიან შემდეგ მაჩვენებლებს:

მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები / მიმდ. ვალდ.

- მიმდ. მოთხოვნები

პერსპექტიული ლიკვიდურობა = წმინდა მოგება - ამორტიზაცია / შემოსავალი

რეალიზაციისან

კრიტიკული ლიკვიდურობა = (ფულადი თანხები + დებიტ. დავ.) /

(გადაგადამდგარი ვალდ. + მოკლევად. ვალდებ.)

კოეფიციენტი 0,7 – 0,8 დიაპაზონში უნდა მოძრაობდეს.

ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა - ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა. გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია ბალანსზე და საწარმოს ლიკვიდურობაზე. ლიკვიდურობა ხასიათდება, როგორც ანგარიშსწორებათა მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში და პერსპექტივაში. საწარმო შეიძლება იყოს გადახდისუნარიანი საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ გააჩნდეს არაკეთილსასურველი შესაძლებლობანი მომავლისათვის.

რაც შეეხება სს „თელასს“, 2018 წლის ბოლოს მისი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 340 686 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 19 804 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2018 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 26 720 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 265 407 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 6 916 ათასი ლარით და შეადგინა 75 279 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად.[9]


სს „თელასის“ ლიკვიდურობის მაჩვენებლები

ცხრ.1.3.1

მაჩვენებელი	31.12.2017	31.12.2018
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.15	0.07
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.60	0.56
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.67	0.63

სს „თელასის“ ლიკვიდურობის დინამიკის გრაფიკი

გრაფიკი 1.3.1



როგორც ცხრილიდან (1.3.1) და გრაფიკიდან (1.3.1) ჩანს აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2018 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0,15-დან 0,07-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგნდა 0,56. ამ მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეულია ფულადი სახსრების შემცირებით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,67-დან 0,63-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით.

1.4 ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის ანალიზი

ფინანსურ მდგომარეობაში იგულისხმება საწარმოს უნარი დააფინანსოს თავისი საქმიანობა. იგი ახასიათებს საწარმოს უზრუნველყოფას ფინანსური რესურსებით, მათი განთავსების მიზანშეწონილობას, გამოყენების ეფექტიანობას, ურთიერთობას სახელმწიფოსთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება იყოს მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული. თუ საწარმოს უნარი აქვს დროულად გადაიხადოს გადასახადები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა წარმოების გაფართოების საფუძველზე, ეს მეტყველებს მის კარგ ფინანსურ მდგომარეობაზე.

თუ ლიკვიდობა ახასიათებს ორგანიზაციის შესაძლებლობას დროულად და სრულად დაფაროს თავისი ვალდებულება მიმდინარე პერიოდში, ფინანსური მდგრადობა ახასიათებს მის შესაძლებლობას დაფაროს თავისი ვალდებულება მომავალ პერიოდშიც.

ფინანსური მდგრადობა - ეს ორგანიზაციის ფინანსური რესურსების ისეთი განაწილება და მოხმარებაა, რაც უზრუნველყოფს მოგების ზრდის ბაზაზე, გადახდისუნარიანობისა და კრედიტუნარიანობის დონის შენარჩუნებით, ორგანიზაციის ტექნიკო-ეკონომიკურ განვითარებას. ფინანსური მდგრადობა ხასიათდება ორგანიზაციის ფინანსური დამოუკიდებლობით და საკუთარი კაპიტალის მანევრირების შესაძლებლობით.[5]

ფინანსური მდგრადობის ანალიზის მიზანია - შეაფასოს ორგანიზაციის შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულება და შეინარჩუნოს ორგანიზაციის საკუთრების უფლება გრძელვადიან პერსპექტივაში. [5;15]

ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი ახასიათებს ორგანიზაციის დაფინანსების გარე წყაროებზე დამოკიდებულების დონეს. თუ კაპიტალის სტრუქტურას „საკუთარი კაპიტალი - ნასესხები კაპიტალი“ აქვს მნიშვნელოვანი გადახრა ვალის მიმართ, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ყველა კრედიტორები ერთდროულად მოითხოვენ ვალის დაბრუნებას, ორგანიზაცია შეიძლება გაკოტრდეს.

ფინანსური ანალიზის ჩარჩოში ფინანსური მდგრადობის მაღალი დონის დამახასიათებელია გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის, კრედიტუნარიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლების მაღალი მნიშვნელობები.

ფინანსური მდგრადობის ანალიზის ობიექტებია:

- კაპიტალის არსებობა და დაბანდება, მისი ეფექტური გამოყენება;
- პასივების ოპტიმალური სტრუქტურა (ფინანსური დამოუკიდებლობისა და ფინანსური რისკის შესაბამისობა);
- აქტივების ოპტიმალური სტრუქტურა (ლიკვიდობის დონისა და საწარმოო რისკის შესაბამისობა);
- გადახდისუნარიანობა და ინვესტიციური მიმზიდველობა;
- გაკოტრების შესაძლებლობა;
- რენტაბელობა და ფინანსური სიმტკიცე;
- დამფუძნებლების დივიდენდური პოლიტიკა;

ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის მთავარი პირობაა - პროდუქციის გასაღების მოცულობის ზრდა, როგორც მიმდინარე ხარჯების დაფარვის წყარო და ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო სუფთა მოგების მიღება. სუფთა მოგების ზრდა ამტკიცებს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას და ადიდებს მისი ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობის შედეგებზე. თუ საწარმო წარმატებით ასრულებს

საწარმოო და ფინანსურ გეგმებს, ეს დადებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და პირიქით, თუ არ სრულდება პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები, იზრდება გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება, მცირდება რეალიზაციიდან ამონაგებისა და შესაბამისი მოგების თანხა, ცხადია უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა.

მყარი ფინანსური მდგომარეობა, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებაზე, აუცილებელი რესურსებით საწარმოს მოთხოვნათა უზრუნველყოფაზე. ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, მიმართული ფულადი რესურსების გეგმაზომიერად მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფასთან, საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვაზე. საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის თანაფარდობის რაციონალური პროპორციის დაცვასა და მათი გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობაზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი მიზანია წარსული საქმიანობისა და მოცემული მომენტისათვის არსებული მდგომარეობის ობიექტური შეფასება, ასევე მომავალში მისი პოტენციალის განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

საწარმოს საქმიანობას ხასიათდება ხუთი შედეგით (სამეურნეო, ფინანსური, მიმდინარე, დაუგეგმავი და წმინდა),[5] რომელთა ფორმირება ხორციელდება თანმიმდევრობით და ურთერთკავშირში. (იხ. ცხრილი 1.4.1)

ფინანსური ანალიზის ძირითადი წყაროა: საწარმოს ბუღალტრული ბალანსი, „ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ“, ანგარიშგების სხვა ფორმა, აგრეთვე ბუღალტრული ბალანსის ცალკეული მუხლის გამიფვრისა და დეტალიზაციისათვის აუცილებელია პირველადი და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) წარმოადგენს ანგარიშგებას საწარმოს ქონებისა (აქტივში) და მისი ფრომირების წყაროების (პასივში) შესახებ. ბალანსის აქტივში ასახული საწარმოს ქონება იყოფა გრძელვადიან აქტივებად (ბალანსის აქტივის განყოფილება I) და მოკლევადიან აქტივებად (ბალანსის აქტივის განყოფილება II).

საწარმოს საქმიანობის ფორმირება ცხრილის სახით

ცხრილი 1.4.1

1.	სამეურნეო საქმიანობის შედეგი =	+ სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლები - დანახარჯები სამეურნეო საქმიანობაზე
2.	ფინანსური შედეგი =	+ ფინანსური შემოსავლები - ფინანსური ხარჯები
3.	მიმდინარე შედეგი =	+ სამეურნეო საქმიანობის შედეგი + ფინანსური შედეგი
4.	დაუგეგმავი შედეგი =	+ დაუგეგმავი შემოსავლები - დაუგეგმავი ხარჯები
5.	წმინდა შედეგი =	+ სამეურნეო საქმიანობის შედეგი + ფინანსური შედეგი + დაუგეგმავი შედეგი - მოგების გადასახადი

გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ასევე გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები, რომელთა გამოყენების ვადა, ჩვეულებრივ, ერთ წელზე მეტია.

მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება საწარმოს რესურსები, რომლებიც გამოიყენება საწარმოო ციკლის პროცესში, ესე იგი საწარმოო მარაგები, საქონელი, რომლებიც ინახება საწყობში, მიმდინარე დებიტორული დავალიანება და ა. შ.

აქტივში არსებული ქონების ფორმირების წყაროები ასახულია ბალანსის პასივში, რომელიც, თავის მხრივ, შედგება სამი განყოფილებისაგან.:

- კაპიტალი და რეზერვები
- გრძელვადიანი ვალდებულებები
- მოკლევადიანი ვალდებულებები.

მიმდინარე აქტივების გამოყენების ეფექტიანობა და ლიკვიდობა განისაზღვრება წმინდა მიმდინარე კაპიტალის სიდიდით, რომელიც წარმოადგენს სხვაობას საწარმოს

მიმდინარე აქტივებსა და კომპანიის კორექტირებულ მოკლევადიან ვალდებულებებს შორის.

ბალანსის სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ ოთხ მოდელს:

- იდეალური მოდელი;
- აგრესიული მოდელი;
- კონსერვატიული მოდელი;
- კომპრომისული მოდელი.

წარმოდგენილი მოდელები განიხილება იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსურ მენეჯმენტში მიმდინარე საშუალებების ცნება იყოფა მუდმივ საბრუნავ კაპიტალად, რომელიც წარმოადგენს საწარმოო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ მინიმუმს, და დროებით საბრუნავ კაპიტალად, რომელიც ასახავს დამატებითი მიმდინარე აქტივების სიდიდეს. ცვლადი მიმდინარე კაპიტალი საჭიროა, როგორც სადაზღვევო მარაგები, საწარმოს სამიქნობის მაქსიმალური დატვირთვის პერიოდებში.

იდეალური მოდელი ეფუძნება ვარაუდს, რომ მიმდინარე აქტივები სტატიკურ წარმოდგენაში თავისი სიდიდით ემთხვევა მოკლევადიან ვალდებულებებს. ამგვარი სიტუაცია პრაქტიკულად არ გვხვდება, რადგან არახელსაყრელ პირობებში, მაგალითად, საკრედიტო დავალიანების სასწრაფოდ დაფარვის აუცილებლობის შემთხვევაში, საწარმო იძულებული იქნება, მოახდინოს ფიქსირებული აქტივების რეალიზაცია, რაც კიდევ უფრო გააუარესებს მის მდგომარეობას.

აგრესიული მოდელი ეფუძნება ვარაუდს, რომ მოკლევადიანი ვალდებულებები ემსახურება მხოლოდ მიმდინარე აქტივების ცვლადი ნაწილის დაფარვას, რომელიც აუცილებელია, როგორც სადაზღვევო მარაგი. მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი ამ შემთხვევაში იფარება გრძელვადიანი საკრედიტო დავალიანებისა და საკუთარი კაპიტალის ნაწილის ხარჯზე. ეს სიტუაცია, როგორც იდეალური მოდელი, უნდა განვიხილოთ, როგორც საკმარისად სარიისკო, რადგანაც პრაქტიკაში შეუძლებელია, შემოიფარგლო მიმდინარე აქტივების მინიმუმით.

კონსერვატიული მოდელი გულისხმობს მოკლევადიანი ვალდებულებების არარსებობას და მიმდინარე აქტივების დაფინანსებას გრძელვადიანი

ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაწილის ხარჯზე. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს მოდელი არ არის მიზანშეწონილი.

კომპრომისული მოდელი ყველაზე რეალური მოდელია. ამ მოდელის შემთხვევაში მიმდინარე კაპიტალი ტოლია მუდმივი მიმდინარე აქტივების ჯამისა და მათი ცვლადი ნაწილის ნახევრისა.

საწარმოს ფინანსური შედეგების მაჩვენებლები ორ ჯგუფად: აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებად იყოფა.

აბსოლუტური მაჩვენებლები საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგის საერთო მოცულობას გამოხატავენ, როგორცაა: მოგება ან ზარალი. მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. მოგება არის ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი. მოგება ნიშნავს, რომ რესურსების გამოყენების შედეგად მიღებულია დამატებითი შემოსავალი.

საწარმოში მოგების მაჩვენებელი სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. შესაბამისად გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები:

- მოგება რეალიზაციიდან;
- საოპერაციო მოგება;
- მოგება დაბეგვრამდე (წლიური მოგება)
- წმინდა მოგება;
- განაწილებული და რეინვესტირებული მოგება;

გამომდინარე იქედან, რომ მოგება არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებელი, იგი წინა წლებთან შედარების დროს, ეფექტიანობის რეალურ ზრდას ვერ ახასიათებს. ამიტომ, გამოიყენება ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ფარდობითი მაჩვენებელი - მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი ახასიათებს მომგებიანობის დონეს პროცენტულად და ხარისხობრივი მაჩვენებელია. მომგებიანობის მაჩვენებლები განსხვავდებიან, როგორც გამოყენების მიზნობრივი დანიშნულების, ასევე გაანგარიშების მეთოდის მიხედვით. ზოგადად რენტაბელობა შეფარდებითი მაჩვენებელია, რომლის მრიცხველშიც მოცემულია მოგება, ხოლო მნიშვნელში ის კონკრეტული მაჩვენებელი, რომლის მომგებიანობის დონეც განისაზღვრება.[5;13;15]

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
- II. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები
- III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები სხვადასხვა ბაზის საფუძველზე გამოითვლება. როგორცაა, აქტივების ჯამი, საოპერაციო ხარჯები, გამოყენებული კაპიტალი და ა. შ.

*აქტივების მომგებიანობა = მოგება დაბეგვრამდე * 100 / აქტივების ჯამი*

სს. "თელასის" აქტივების მომგებიანობა 2017 წელი - $24\,363 * 100 / 320\,882 = 7,6$

სს. "თელასის" აქტივების მომგებიანობა 2018 წელი - $27\,628 * 100 / 340\,686 = 8,1$

იგი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე. იგი მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს.

*წარმოების მომგებიანობა = (საოპერაციო მოგება * 100) / (მატერიალური მარაგები + ძირითადი საშუალებები)*

მომგებიანობის ეს მაჩვენებელი ახასიათებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს ანუ, რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი. იგი ახასიათებს მოცემულ საწარმოში (ბიზნესში) გამოყენებული, საკუთარი წარმოების საშუალებების მომგებიანობას, რადგან საოპერაციო მოგება მთლიანად მოცემული საწარმოს წარმოების საშუალებების გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული.[13;15]

ფინანსური რენტაბელობის მაჩვენებლები გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვით ასევე სხვადასხვა ბაზის საფუძველზე. როგორცაა:

*აქტივების ფინანსური რენტაბელობა = წმინდა მოგება * 100 / აქტივები*

იგი აჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს და მეტად საინტერესოა აქციონერებისათვის.

წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA) = წმინდა მოგება / (გრძელვადიანი აქტივები + წმინდა მიმდინარე აქტივები)

RONA წმინდა აქტივების მომგებიანობა (Returne on net Assets) აჩვენებს, რამდენად კარგად შეუძლია საწარმოს გამოიყენოს მისი აქტივობის შესაქმნელად. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მენეჯმენტის მართვის მით უფრო მაღალ ხარისხზე მიაღწევს.

პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებია:

*მარჟა = მოგება რეალიზაციიდან * 100 / შემოსავალი რეალიზაციიდან*

მარჟა აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე და ასახავს საწარმოს მდგომარეობას საქონლის ბირჟაზე. მარჟა შეიძლება გამოითვალოს საოპერაციო მოგების შეფარდებით რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან.[13;15]

*ფასნამატი = საოპერაციო მოგება * 100 / რეალიზებული პროდუქციის სრული თვითღირებულება*

ფასნამატი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯებზე. ფასნამატს ძირითადი საქმიანობის (წარმოების) რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი ყოველთვის აღემატება მარჟას. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს აგრეთვე იყენებენ მოგება/ზარალის ანგარიშგების შესადგენად, არასრული სააღრიცხვო ჩანაწერების დროს.

განვიხილოთ სს „თელასის“ რენტაბელობის მაჩვენებლები

სს „თელასის“ რენტაბელობის მაჩვენებლები

ცხრ. 1.4.2

მაჩვენებელი	31.12.2017	31.12.2018
გაყიდვების რენტაბელობა	6.7%	8.3%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	14.5%	15.3%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)*	7.0%	8.1%

* მაჩვენებლის ერთიანი აქტივების რენტაბელობა გამოსაანგარიშებლად გამოყენებული მაჩვენებლის „სულ აქტივები“ მნიშვნელობა, შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის ზრდა დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლების ზრდასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთიანი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია საზოგადოების მოგების ზრდასთან. 2018 წელს მოგებამ შეადგინა 27 628 ათასი ლარი 2017 წელს 22 249 ათას ლართან შედარებით. წლის განმავლობაში მოგების ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

- 1) ამონაგების ზრდა ელექტროენერჯის განაწილებაზე ტარიფების ზრდის შედეგად 2018 წლის 1 იანვრიდან;
- 2) მოგების გადასახადის შემცირება, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, რომელთა თანახმად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად ჩამოწერა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“ დაბეგვრის 0% განაკვეთით გადავადებული გადასახადების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გაუნაწილებელი მოგების მიმართ მოქმედებდა 2017 წლის 1 იანვრიდან.²²

სს „თელასის“ ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

ცხრ. 1.4.3

მაჩვენებელი	31.12.2017	31.12.2018
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	0.48	0.53
საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა	1.08	0.88

2018 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა 0,53. საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 0,88 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 0.88 ლარი), ვალდებულებების შემცირების და კაპიტალის ზრდის შედეგად.

²²სს „თელასი“.წლიური ანგარიში. 2018 წ.

თავი 2. გაკოტრების დიაგნოსტიკის მეთოდოლოგია და გაკოტრების თავიდან აცილების გზები, სს „თელასის“ მაგალითზე

2.1 გაკოტრების არსი

როდესაც საწარმო არამდგრად ფინანსურ მდგომარეობაშია იგი კარგავს ფინანსურ შესაძლებლობებს, მაგრამ ამ დროს შესაძლებელია საწარმოს სრული ფინანსური კრახისგან ხსნა.

გაკოტრება კი ისეთი ფინანსური მდგომარეობაა, როდესაც საწარმო ფინანსურ შესაძლებლობებს სრულად დაკარგავს და მისი საქმიანობის გაგრძელება მიზანშეუწონელი გახდება. საწარმოს აღნიშნულ დროს არ აქვს თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი. ეს საწარმოს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მას არ გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი. საწარმოს გაკოტრება მომენტალურად არ ხდება, იგი დაკავშირებულია მთელ რიგ პროცესებთან, ამიტომ მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური პროცესების მუდმივი კონტროლი და ანალიზი მოსალოდნელი რისკების პრევენციისათვის.

თავისთავად ცხადია, რაც უფრო ადრე გამოვლინდება საწარმოს გაკოტრებისკენ მიმართული ტენდენცია და რაც უფრო მალე იქნება მიღებული ზომები საწარმოს გადასარჩენად, მით უფრო მეტია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის ალბათობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის საჭირო მაჩვენებელთა სწორ შერჩევას, გაკოტრების გამომწვევი მოვლენების განვითარების საწყის სტადიაში.

სიტყვა გაკოტრება ლათინური სიტყვებიდან „*bancus*“ (მაგიდა) და „*ruptus*“ (გატეხილი) წარმოიშვა. ბანკი თავდაპირველად ეწოდებოდა ხალხმრავალ ადგილებში დადგმულ მაგიდას, სადაც ვაჭრები და მევახშეები აწარმოებდნენ გარიგებებს და აფორმებდნენ დოკუმენტებს. გაკოტრების შემდეგ კი ეს პირები ამ მაგიდას ამტკრევდნენ. ამრიგად „გაკოტრება“ „გატეხილი მაგიდის“ ცნებას უკავშირდება.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს გაკოტრების მრავალი განმარტება. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით გაკოტრება განმარტებულია, როგორც ფულადი სახსრების უქონლობის გამო მოვალის უუნარობა, დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააბრუნოს ვალები. [19;28]

ავტორთა ერთი ჯგუფი გაკოტრებას განმარტავს, როგორც იურიდიულ აქტს, რომელსაც ფინანსური მიზეზები უდევს საფუძვლად, კერძოდ, კომპანიის ფინანსური მდგრადობის სერიოზული დარღვევები, დროის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კომპანიის ფულადი ნაკადების სერიოზული დაუბალანსებლობა, კომპანიის გადახდისუნარიანობის გახანგრძლივება, რის მიზეზსაც კომპანიის ეკონომიკური რესურსების დაბალი აქტივობა წარმოადგენს.[30;34]

სამრეწველო საწარმოთა ფინანსური პრობლემების განხილვას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიემძვნა. მიუხედავად ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ პრობლემები არსებობს, რომლებიც საწარმოთა საქმიანობაში არსებულ შეფერხებებს, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში არსებულ ხარვეზებს, საბრუნავი სახსრების უკმარისობას და სხვა სახის ნაკლოვნებებს უკავშირდება.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოები ვერ ახორციელებენ ინვესტიციებს, ვერ იღებენ კრედიტებს, ვერ იხდიან გადასახადებს, ამიტომ ეს უკანასნელი საწარმოების გაკოტრებას, აქედან გამომდინარე, უმუშევრობისა და არამსყიდველობითუნარიანი მოსახლეობის რიცხვის ზრდას იწვევს.

„გაკოტრება“ საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების სრულად დაკარგვას და მისი საქმიანობის გაგრძელების მიზანშეწონილობას ნიშნავს. მას არა აქვს თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი. ეს საწარმოს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მას არ გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი. ეს უკვე „დაღუპული“ ორგანიზმია, ამიტომ ექვემდებარება ლიკვიდაციას და გაყიდვას, რათა დაკმაყოფილდეს კრედიტთა მოთხოვნები.

საწარმოთა გაკოტრების მრავალი მიზეზი არსებობს. მათი დაჯგუფება შეიძლება შიდა და გარე მიზეზებად. **გარე მიზეზებში შედის:** ეკონომიკური ფაქტორები, პოლიტიკური ფაქტორები, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული ფაქტორები, საერთაშორისო კონკურენციის გამლიერება და მევალებების გაკოტრება.²³

შიდა მიზეზებში შედის: საკუთარი საბრუნავი სახსრების დეფიციტი, სახელშერულებო დისციპლინის არარსებობა, საწარმოს იურიდიული სამსახურის უმოქმედობა, გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებათა არაეფექტიანობა, დებიტორუ-კრედიტორული ვალების ზრდა და ა. შ.

საწარმოს გადახდისუნარიანბა შეიძლება სხვადასხვა დროს დადგეს, ან ისეთი გარე ფაქტორებით ოყოს განპირობებული, როგორცაა დებიტორების მიერ გადახდის ვადების გადაცილება, საბანკო გზავნილების შეფერხება, საწარმოს ფინანსური მექანიზმების ნაკლოვანებები.

საწარმოს გაკოტრება არ ხდება, ეს პროცესი გარკვეული ეტაპებისგან შედგება. თავდაპირველად იწყება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემდგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევები, კერძოდ, პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირება, არახელსაყრელი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტში, კონკურენტებისა და კლიენტურის შემადგენლობაში, პრობლემები საწარმოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში. მომდევნო ეტაპი ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენლის პარამეტრების ქრონიკული დარღვევებით.

პრობლემები იქმნება საწარმოს ძირითადი საშუალებებით, ნედლეულით, მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. ადგილი აქვს ნედლეულისა და მასალების არაეფექტურად გამოყენებას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ამოწურულია საწარმოს ფინანსური პოტენციალი და მკვეთრად ეცემა საწარმოს ფინანსური აქტივობა, და ბოლოს, იწყება საწარმოს „კრიზისი“. რომელიც ხასიათდება

²³ ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოც. თბილისი, 2019, გვ.110

ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მრავალი მაჩვენებლის კრიტიკული მნიშვნელობით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საწარმო თავისი საქმიანობის განხორციელების დროს გადის კრიზისის რამდენიმე სტადიას ღრმა ფინანსურიკრიზისის დადგომამდე და გაკოტრების პროცედურების დაწყებამდე. ამგვარად, გაკოტრების წინმსწრები ფინანსური სიძნელების ტიპებია: ეკონომიური არამდგრადობა, საქმიანი არამდგრადობა, ტექნიკური გადახდისუუნარობა, გადახდისუუნარობა გაკოტრების წინდა ლეგალური გაკოტრება.

საქმიანი არამდგრადობის ტერმინი გამოიყენება იმ საწარმოების მიმართ, რომლებმაც შეწყვიტესოპერაციები იმ მიზეზით, რომ კრედიტორებს სისტემატიურად აზარალებდნენ, თუმცა, შეიძლება მათ ოფიციალურად გაკოტრების პროცედურა არც ჰქონდეთ გავლილი.

ტექნიურ გადახდისუუნაროდ იწოდება საწარმოს ესეთი ფინანსური სიძნელე, როცა იგი კრედიტორებს ვერ უფარავს ვადადამდგარ გადასახადებს. ტექნიკური გადახდისუუნარობა შეიძლება ნიშნავდეს, ლიკვიდური სახსრების დროებით უკმარისობას (დეფიციტს). ასეთ დროს, თუ საწარმო მევალებიდან მიიღებს გადახდის გადავადებას, მაშინ შესაძლებელია მან შეძლოს შემოსავლების გადიდება, საგადასახადო ვალდებულებების განაღდება და გაკოტრებისაგან გადარჩენა. მეორეს მხრივ, ტექნიკური გადახდისუუნარობა მხოლოდ პირველი სიმპტომია საწარმოს ეკონომიკური არამდგრადობისა, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოს გაკოტრება ელოდება.

გადახდისუუნარობა გაკოტრების წინ ისეთიმდგომარეობაა, როცა საწარმოს მთლიანი კრედიტორული დავალიანებები აწარმოებს მისი აქტივების საბალანსო ღირებულებას. ეს მდგომარეობა ფირმისთვის უფრო საშიშია, ვიდრე ტექნიური გადახდისუუნარობა, რადგან ხშირშემთხვევაში, იგი მოასწავებს საწარმოს ეკონომიკურ არამდგრადობას და მთავრდება მისი ლიკვიდაციით. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა საწარმომ არ არის აუცილებელი გაიაროს გაკოტრების პროცედურები.

ლეგალური გაკოტრება არის გაკოტრების ოფიციალური რეგისტრაცია და გაკოტრების სახელმწიფო კანონის შესაბამისად გაკოტრების ფაქტის დაფიქსირება.

ფინანსური კრიზისის დადგომისას, იურიდიულად დასტურდება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების ფაქტი.²⁴

საწარმოს გაკოტრებისაკენ სვლა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდი განმავლობაში მიმდინარეობს და ამ პროცესის ეტაპებიც თავისი ხანგრძლივობით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

საწარმოს ფინანსური სიძნელების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ფუნქციონირებისა და განვითარების ამსახველი მაჩვენებლებით და ამ მაჩვენებლების ცვლილებების ტენდენციებით. მაგრამ ამ მაჩვენებლებით ხშირად ვერ ვადგენთ ფინანსური სიძნელების გამომწვევ მიზეზებს. ამ მიზეზების დასადგენად საჭიროა სიღრმისეული ანალიზი.

საწარმოს წარუმატებელი საქმიანობის, მისი ფინანსური სიძნელების პირველ-საწყისი გარეგნული გამოვლინება წარმოადგენს სიმპტომებს, რომელიც ყოველთვის არ ახასიათებს წარუმატებლობის მიზეზებს, მაგრამ ეს მიზეზები ამ სიმპტომების მიხედვით დგინდება.

წარუმატებლობის მიზეზი არის მოვლენა, რომლის შედეგადაც ვლინდება წარუმატებლობის ფაქტორები. წარუმატებლობის ფაქტორი კი არის მოვლენა, დაფიქსირებული მდგომარეობა ან ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს საწარმოს მდგრადობის და დინამიური წონასწორობის დაკარგვას ეკონომიკურ გარემოში.

არსებობს საწარმოს წარუმატებლობის შიდა და გარე ფაქტორები. ზოგიერთი ავტორის აზრით [38], საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი შიდა ფაქტორებია: საწარმოო ტექნიკური ფუნქციის, ფინანსური მენეჯმენტის, კადრების მართვის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და მარკეტინგის ფუნქციების არადაამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია. გარე ფაქტორები თავის მხრივ მოიცავს: მაკროსფეროს და მიკროსფეროს ფაქტორებს. აქედან პირველს მიეკუთვნება: ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, ტექნიკური და გეოგრაფიული პირობები, ხოლო მეორეს - სამეურნეო სუბიექტები, ინსტიტუტები და ეროვნული ბაზრების ოთხი სეგმენტის ფუნქციონირების

²⁴ ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოც. თბილისი, 2019, გვ.114

მექანიზმები: ფულის ბაზარი, მატერიალური რესურსების ბაზარი, შრომის ბაზარი და საქონლის ბაზარი. საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების კვლევისადმი სისტემური მიდგომა შიდა და გარე ფაქტორების ერთობლივი გავლენის შესწავლას ითვალისწინებს. ფაქტორთა ასეთი დაყოფა არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, კერძოდ, იგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

გაკოტრება კრიზისული მდგომარეობის უკიდურესი ფორმაა, როდესაც საწარმოს არა აქვს უნარი დაფაროს ვალდებულებები და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე აღადგინოს გადახდისუნარიანობა. სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში [13;39] გამოყოფენ გაკოტრების რამდენიმე სახეს:

1. **საწარმოს რეალური გაკოტრება**, ანუ საწარმოს უუნარობა, აღადგინოს თავისი გადახდისუნარიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რეალური დანაკარგების გამო.
2. **დროებითი (პირობითი) გაკოტრება** ხასიათდება საწარმოს გადახდისუუნარობით, რომელიც გამოწვეულია კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით, ასევე დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანებებითა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგებით, ამასთან საწარმოს აქტივების ღირებულება აღემატება მისი ვალების ოდენობას.
3. **წინასწარ განზრახული გაკოტრება** - ხასიათდება საწარმოს ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეების მიერ მისი გადახდისუნარიანობის მდგომარეობის შექმნით მისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენების მიზნით პირადი ან მერამე პირის ინტერესებისათვის;
4. **ფიქტიური (ცრუ) გაკოტრება** - საწარმოს მიერ ცრუ განცხადების გაკეთება მისი გადახდისუუნარობის შესახებ კრედიტორებისათვის თვალის ახვევის მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს მათგან ვალების გადახდის გადავადება, ან დათმობის მიღება.

საწარმოს გაკოტრების შეფასება შესაძლებელია მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე. **რაოდენობრივ მაჩვენებლებს** მიეკუთვნება:

ვალდებულებების სააქციო კაპიტალთან და აქტივებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი, ფულადი საშუალებების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის დაბალი დონე, დაბალი რენტაბელობა, მოგების, აქციების ფასის, ობლიგაციები ფასების მკვეთრი შემცირება და ა. შ.

ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ფინანსური ანგარიშგების მომზადების ცუდი სისტემა და ხარჯების კონტროლირების უუნარობა, საწარმოს გამოუცდელიობა, არაკვალიფიციური მართვა, კომერციული რისკის მაღალი დონე, თაღლითები, სახელშეკრულებო პოლიტიკა.

ეკონომისტები განასხვავებენ გაკოტრების **ფორმალურ და არაფორმალურ ნიშნებს**, რომლებიც განიხილებიან კომპლესურად. შესაძლო გაკოტრების არაფორმალური ნიშნების არსებობისას საწარმოს ხელმძღვანელობისა და ანალიტიკური სტრუქტურების მიერ ხდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის დეტალური შესწავლა.

გაკოტრების არაფორმალური ნიშნები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- ნიშნები, რომელთა შეფასება შესაძლებელია და ბალანსში აისახებიან;
- ნიშნები, რომელთა შეფასება შეუძლებელია. ასეთია, მაგალითად, ანგარიშგების მომზადების დაბალი დონე და წარდგენის ვადების დარღვევა, რაც მიუთითებს ფინანსური სამსახურის არაეფექტურ მუშაობასა და საინფორმაციო სისტემის ხარვეზზე, შესაბამისად იზრდება არაეფექტური გადაწყვეტილებების მიღების ალბათობა.

ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებს მკვეთრი ცვლილება ბალანსის მუხლებში, კერძოდ, აქტივებსა და ვალდებულებებში. ნეგატიურ ფაქტს წარმოადგენს ფულადი საშუალებების შემცირება საბანკო ანგარიშებზე. საგანგაშოა საწარმოს აქტივების შემადგენლობაში დებიტორული დავალიანებების ხვედრითი წილის ზრდა, ხანდაზმული დებიტორული დავალიანებების არსებობა. ეს მიუთითებს საწარმოს მიერ მყიდველებთან მიმართებაში არაგონივრული პოლიტიკის გატარებაზე ან თვით მყიდველების მიერ გადახდების დაგვიანებაზე.

შესწავლას საჭიროებს მარაგების მკვეთრი ცვლილება. დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, ნედლეულისა და მასალების მკვეთრი ზრდა ხშირად დასაქონლიანების, ხოლო მკვეთრი შემცირება წარმოებასა და მომარაგებაში შეფერხების და საბოლოოდ, მიწოდების გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი ხდება.

არასტაბილური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება გახდეს საწარმოს საქონელსა და მომსახურებაზე არარეალური ფასების დაწესება, სიახლეების სარისკო დანერგვა, ახალი ბაზრების ათვისება, საწარმოს მიერ სტრატეგიის მკვეთრი შეცვლა.

რაც შეეხება სს „თელასს“, მაგალითად მოვიყვანოთ ის ძირითადი რისკები, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მის საქმიანობაზე და გამოიწვიოს კომპანიის გაკოტრება²⁵:

1. **დარგობრივი რისკები.** დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფოს მიერ ტარიფების დაუსაბუთებელი რეგულირება და რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის (სემეკი) მიერ ისეთი ტარიფების შესაძლო დამტკიცებასთან, რომელიც არ ფარავს საზოგადოების ხარჯებს.

2. **ფინანსური რისკები.** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (*ცხრილი 2.1.1*):

²⁵ სს „თელასი“, წლიური ანგარიში, 2018

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	2.60	2.4969
თებერვალი	2.60	2.4795
მარტი	2.61	2.4144
აპრილი	2.61	2.4617
მაისი	2.61	2.4719
ივნისი	2.62	2.4516
ივლისი	2.62	2.4474
აგვისტო	2.62	2.5803
სექტემბერი	2.63	2.6151
ოქტომბერი	2.64	2.7027
ნოემბერი	2.64	2.6896
დეკემბერი	2.64	2.6766

3. **საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები.** შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

4. **გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები.** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე სს „თელასის“ მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

2.2 გაკოტრების დიაგნოსტიკა

საწარმოს ფინანსური დიაგნოსტიკის მიზანია სამეურნეო საქმიანობის არსებით პრობლემების გამოვლენა და მათი წარმოშობის მიზეზების დადგენა.

გაკოტრება საწარმოს დოკუმენტურად დასაბუთებული უუნარობაა გადაიხადოს გადასახადები და დააფინანსოს თავისი მიმდინარე ძირითადი საქმიანობა საშუალებათა უქონლობის გამო.

თავისთავად ცხადია, რაც უფრო ადრე გამოვლინდება საწარმოს გაკოტრებისკენ მიმართული ტენდენცია და რაც უფრო მალე იქნება მოღებული ზომები საწარმოს გადასარჩენად, მით უფრო მეტია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის ალბათობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის საჭირო მაჩვენებელთა სწორ შერჩევას გაკოტრების გამომწვევი მოვლენების განვითარების საწყის სტადიაში. გაკოტრების დიაგნოსტიკისათვის აუცილებელია: მაკრო და მიკრო გარემოში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და საწარმოში სიძნელების ფორმირების დროული აღმოჩენა, შესაძლო გაკოტრების უწყვეტი პროცესის შეფასება ინდიკატორების კომპლექსის რეგულარული გამოთვლებისა და ანალიზის გზით, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე საინფორმაციო ბაზის ფორმირება ეფექტური სამმართველო გადაწყვეტილებათა მისარებად და საწარმოს გაჯანსაღების სტრატეგიის შემუშავებისათვის.

არსებობს ფორმალური და არაფორმალური ხასიათის კრიტერიუმები, [13] რომელთა საფუძველზეც შეიძლება საწარმოს წარუმატებლად მიჩნევა. ასეთი ფორმალური კრიტერიუმებია: მოვალის უუნარობა სამი თვის განმავლობაში მთლიანად დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნა ვალდებულებებზე. არაფორმალურ კრიტერიუმებს კი, რომლებიც საწარმოს პოტენციური გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, მიეკუთვნება: საწარმოს ქონების არადადაკმაყოფილებელი სტრუქტურა, საწარმოს სახსრების ბრუნვადობის შენელება, კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის გახანგრძლივება, საწარმოს ვალდებულებების შემადგენლობაში მაღალი საპროცენტო განაკვეთის სესხების

ხვედრითი წილის ზრდა, ლიკვიდურობის დაბალი კოეფიციენტები, გრძელვადიანი აქტივების ფორმირება მოკლევადიანი სესხების ხარჯზე.

ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს საწარმოში აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების მდგომარეობა, მიმდინარე აღრიცხვის არასრული, არათავისდროული და არაკვალიფიციური წარმოება, ხოლო ფინანსური ანგარიშგების დაგვიანებით და ხარვეზებით წარდგენა ხშირ შემთხვევაში ფინანსური სიძნელეების წარმოქმნის მიზეზი ხდება.

გაკოტრების შესაძლებლობის საკითხის შესწავლით მრავალ ქვეყანაში დაკავებული იყვნენ როგორც აკადემიური წრეები, ისე ბიზნეს-კონსულტანტები, ამიტომ შესაძლებელია ამ პრობლემის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტის განხილვა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლის პირველი ცდები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში განხორციელდა. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა კრედიტუნარიანობის მაჩვენებელი, ხოლო ფინანსური კოეფიციენტების გამოყენება XX საუკუნიდან დაიწყო. საწარმოს გაკოტრების შესაძლებლობის დადგენას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა.

საწარმოს ფინანსური ანალიზის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდი კოეფიციენტების მეთოდია. მისი საფუძველია კოეფიციენტების გამოანგარიშება და ფაქტიური მნიშვნელობის შედარება ნორმატიულთან. ეს საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ასპექტებზე.

კოეფიციენტების მეთოდით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად 100-მდე კოეფიციენტი გამოიანგარიშება. რიგი კოეფიციენტების ნორმატიული მნიშვნელობები ცნობილია. უმრავლესობის კოეფიცი-ენტების ნორმატიული მნიშვნელობის ცალსახად განსაზღვრა კი შეუძლებელია. ეს განპირობებულია დარგების სპეციფიკით, საწარმოს თავისებურებით და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით²⁶.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის: ბანკისთვის, ინვესტორისთვის თუ საწარმოს მფლობელისთვის მიუღებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება მოცემული მომენტისთვის. მათ აინტერესებთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მომავალი მინიმუმ 2-3 წლის განმავლობაში.

²⁶ Брейли Р., Майерс С. Принципы корпоративных финансов. М., “Олимп-Бизнес”. 2008. 1008 с.

გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რამდენად რეალურია და მისაღებია ფინანსური მდგრადობის შეფასებისთვის გამოყენებული კოეფიციენტების მნიშვნელობა. ამიტომ საჭიროა დამყარდეს ლოგიკური კავშირი კოეფიციენტების მნიშვნელობებს შორის და შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ერთი ინტეგრირებული მაჩვენებლით ან თუნდაც - მაჩვენებელთა მცირე რაოდენობით²⁷.

ფინანსური კოეფიციენტების თანაფარდობის ანალიზი, როგორც გაკოტრების დადგენის მეთოდი, პირველად 1966 წელს გამოიყენა სტენფორდი უნივერსიტეტის პროფესორმა ვ.კ. ბივერმა. თავის გამოკვლევებში იგი სათანადოდ ადარებდა გადახდისუნარო საწარმოების იმ მაჩვენებლებს ნორმალურად მომუშავე საწარმოების იგივე კოეფიციენტებთან და დაადგინა, რომ გაკოტრებამდე ბევრად ადრე, კერძოდ 5 წლით ადრე შეიმჩნევა ნიშნები, რომლებიც გაკოტრების მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა. ეს გამოკვლევები [16;31] გაკოტრების დასადგენად საჭირო კოეფიციენტების შერჩევისა და მათ საფუძველზე სათანადო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა ფინანსური კრახის ალბათობის დადგენა, რამდენადაც ერთი ან ორი კოეფიციენტის დახმარებით პრობლემის გადაჭრის ცდები ხშირად ყალბ და საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა.

შემდგომში ბივერმა თავისი კვლევის შედეგები განაზოგადა მრავალცვლიანი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით. მის მიერ შემოთავაზებული იქნა გაკოტრების დიაგნოსტიკის ხუთფაქტორიანი მოდელი, რომელიც შემდეგ ინდიკატორებს მოიცავდა: აქტივების რენტაბელობა, ნასესხები სახსრების ხვედრითი წილი საშუალებათა წყაროებში, მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, წმინდა საბრუნავი კაპიტალის ხვედრითი წილი აქტივებში, ბივერის კოეფიციენტი (წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის ჯამის შეფარდება ნასესხებ სახსრებთან).

ბივერმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც შედგებოდა 29 კოეფიციენტისაგან და 5 წლის განმავლობაში აკვირდებოდა იმ კომპანიებს, რომლებიც გაკოტრდნენ და

²⁷ მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით“, თბილისი, 2019

ადარებდა საკონტროლო ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც არ გაკოტრებულან. მისი მიზანი იყო ეჩვენებინა რომელი კოეფიციენტი შეიძლება გამოვიყენოთ გაკოტრების პროგნოზირებისათვის და რამდენი წლით ადრე შეიძლება გაკეთდეს ასეთი პროგნოზები.²⁸

$$K_B = (NP + Am) / BC$$

სადაც **NP** - ორგანიზაციის სუფთა მოგებაა, (ათასი ლარი)

Am - ამორტიზაციული დარიცხვაა, (ათასი ლარი)

BC - ნასესხები კაპიტალია, (ათასი ლარი)

კოეფიციენტის მნიშვნელობა გვიჩვენებს, თუ რამდენი საკუთარი სახსრები მოდის ნასესხები კაპიტალის ერთ ლარზე. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ დამოუკიდებლობაზე. ამ მაჩვენებლის ნორმალური მნიშვნელობაა - 0,4 – 0,45. [5]

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი ($K_{ლკ}$) გვიჩვენებს თუ რამდენი მიმდინარე აქტივები მოდის მიმდინარე ვალდებულებების ერთ ლარზე. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის გადახდისუნარიანობაზე. ამ მაჩვენებლის ნორმალური მნიშვნელობაა 2,5 - 3,0.

ორგანიზაციის ეკონომიკური რენტაბელობა ($R_{ეკ}$) განისაზღვრება სუფთა მოგების შეფარდებით აქტივების ღირებულებასთან. გვიჩვენებს, თუ რამდენია სუფთა მოგება აქტივების ერთ ლარზე. ამ მაჩვენებლის ზრდა დადებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე. მისი ნორმალური მნიშვნელობაა 0,06 – 0,08.

გარდა ამისა, გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისათვის და საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ე. ალტმანის, რ. ლისის, რ. ტაფლერის, ჯ. ფულმერის, გ.ლ. სპრინგეიტის, კონანი და გოლდენის და სხვა მოდელები, რომლებიც შემუშავებულია მრავალგანზომილებიანი

²⁸ Bever W.H. Financial Ratios as Predictors of failure Empirical Research in Accounting: „Selected Studies Supplement to Journal of Accounting Research“ 1996

ფაქტორული ანალიზით. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მოდელების კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს დასმული მიზნები და გადასაწყვეტი ამოცანები.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება დამოკიდებულია გარე და შინაგან ფაქტორებზე. გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: სამართლებრივი ბაზა, რომელიც არეგულირებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. განსაკუთრებით რთულია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტრატეგიულ დონეზე. აქ, ძირითადად, ორი პირობა უნდა შესრულდეს: პირველი – სტრატეგიული განვითარების დროის ინტერვალის განსაზღვრა და მეორე – წარმოების პროცესს თან უნდა ერთვოდეს საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების განახლება, ინოვაციის პროცესი.

ალტმანმა სხვადასხვა ტიპის საწარმოებისათვის შეიმუშავა საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და პროგნოზირების მოდელები.

გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისათვის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ალტმანის [14;16] მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ორფაქტორიანი მოდელი. მისთვის შეირჩა ორი მაჩვენებელი, რომელზეც, ალტმანის აზრით, დამოკიდებულია საწარმოს გაკოტრების ალბათობა. კერძოდ, მიმდინარე ლიკვიდურობისა და ფინანსური დამოკიდებულები კოეფიციენტები. ამ მოდელს ასეთი სახე ჰქონდა²⁹:

$$Z = -0.3877 - 1.0736 * K_1 + 0.0579 * K_2$$

სადაც,

K₁ - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;

K₂ - ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ამ მოდელის მიხედვით,

1. თუ **Z = 0**, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ის ტოლია;
2. თუ **Z < 0**, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია;

²⁹ Altman E.I., Bankruptcy, Credit Risk, and High Yield Junk Bonds. Wiley-Blackwell. 1 edition, 576 p, 2002

3. თუ $Z \geq 0$, მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე მეტია და იზრდება Z-ის ზრდასთან ერთად.

სს „თელასის“ მაგალითზე,

$$Z = -0.3877 - 1.0736 * 0,15 + 0.0579 * 0,07 = -0,54$$

სს „თელასის“ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია.

მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელი, [20;21] რომელიც წარმოადგენს ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საკუთარი კაპიტალის დაფარვის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ფუნქციას, რომელიც ახასიათებს საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს და გასულ პერიოდში მისი საქმიანობის შედეგებს. ალტმანმა გამოკვლევა ჩაატარა 33 გაკოტრებულ ამერიკულსაწარმოზე და შეადარა ისინი ანალოგიური მასშტაბების მქონე წარმატებით მომუშავე საწარმოებს. მან გაიანგარიშა ხუთი მაჩვენებელი (X_1, X_2, X_3, X_4, X_5), რომლებზეც ყველაზე მეტადაა დამოკიდებული საწარმოს გაკოტრების ალბათობა და დაადგინა მათი წონითი კოეფიციენტები.

ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელს აქვს ასეთი სახე:

$$Z = 3.3 * K_1 + 1.0 * K_2 + 0.6 * K_3 + 1.4 * K_4 + 1.2 * K_5 \quad (2.2.1)$$

სადაც, მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

K_1 = მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე / აქტივების ჯამი

K_2 = მოგება რეალიზაციიდან / აქტივების ჯამი

K_3 = საკუთარი კაპიტალი / მოზიდული კაპიტალი

K_4 = რეინვესტირებული მოგება / აქტივების ჯამი

K_5 = საკუთარი საბრუნავი სახსრები / აქტივების ჯამი

პირველი ოთხი მაჩვენებელი იანგარიშება პროცენტებში (მაგალითად, თუ $X_3=13,3\%$ -ს გაანგარიშებაში უნდა ჩაირთოს 13,3 და არა 0,133). ამ მოდელით გაკოტრების პროგნოზირების სიზუსტე ერთი წლისათვის 90%-ია, ორი წლისათვის - 70%, ხოლო სამი წლისათვის 50%.

აღნიშნული ინდექსის კრიტიკული მნიშვნელობა ე. ალტმანის მიერ გაანგარიშებული იქნა სტატისტიკური შერჩევის საფუძველზე და შეადგინა **2.675**. ამით შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი გაკოტრება მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, როცა $Z > 2,675$, მაშინ საწარმოს უახლოეს მომავალში ფინანსური საფრთხე არ ემუქრება.


სს „თელასი“ ალტმანის მოდელი Z ცხრილის სახით

ცხრ.2.2.1

მაჩვენებელი	2015	2016	2017	2018
ალტმანი Z	2.23	2.96	8.53	5.11

სს „თელასი“ ალტმანის მოდელი Z გრაფიკის სახით

გრაფიკი 2.2.1



როგორც ვხედავთ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში სს „თელასს“ გაკოტრება არ ემუქრება ალტმანის Z მოდელის (2.2.1) მიხედვით ჩატარებული გამოთვლებით.

ამ მოდელის ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გაუნაწილებელი მოგება ყოველთვის არ არსებობს. ამიტომ უკეთესია მოგებიდან შექმნილი რეზერვების მაჩვენებელი იქნას გამოყენებული გაუნაწილებელ მოგებასთან ერთად. მით უფრო,

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, საქართველოში გაუნაწილებელი მოგება აღარ არსებობს. ამ ხარვეზს ასწორებს ალტმანის მოდიფიცირებული ფორმულა, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$Z = 0,717 k_1 + 0,847 k_2 + 3,107 k_3 + 0,42 k_4 + 0,995 k_5$$

სადაც,

K_1 = წმინდა საბრუნავი კაპიტალის ფარდობა აქტივებთან;

K_2 = სარეზერვო კაპიტალისა (მოგებიდან შექმნილი რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების (ზარალის) ჯამის) ფარდობა აქტივებთან;

K_3 = საოპერაციო მოგების (ზარალის) ფარდობა აქტივებთან;

K_4 = საკუთარი კაპიტალის ფარდობა ვალდებულებებთან (გადაფასების რეზერვის გარეშე);

K_5 = ამონაგების ფარდობა აქტივებთან;

როცა $Z < 1.23$ გაკოტრების დიდი ალბათობა არსებობს;

$1,23 < Z < 2.9$ გაურკვევლობის არეა;

$Z > 2.9$ არსებობს გაკოტრების მცირე ალბათობა.

ბრიტანელმა მეცნიერმა ტაფლერმა შემოგვთავაზა 1977 წელს ოთხფაქტორიანი საპროგრნოზო მოდელი, რომლის შემუშავებისას გამოიყენა შემდეგი მიდგომა: კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების საფუძველზე, პირველ სტადიაზე გამოითვალა 80 მაჩვენელი გაკოტრებული და გადამხდელუნარიანი კომპანიების მონაცემების საფუძველზე, შემდეგ სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, რომელიც ცნობილია როგორც მრავალგანზომილებიანი დისკრიმინანტის ანალიზი, შეიძლება აიგოს გადამხდელუნარიანობის მოდელი, კერძო თანაფარდობების გასაზღვრით, საიდანც გამოყოფენ საუკეთესო კომპანიათა ორჯგუფს და მათ კოეფიციენტებს. თანაფარდობების ასეთი შერჩევითი დათვლა არის ტიპური კორპორაციის საქმიანობის ზოგიერთი საკვანძო განზომილების განსაზღვრისთვის, ისეთი როგორცაა მომგებიანობა, საბრუნავი კაპიტალის შესადარისობა, ფინანსური რისკი და ლიკვიდობა. მოცემული ფაქტორების გაერთიანების შედეგად, გადამხდელუნარიანობის მოდელი ასახავს

კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ზუსტ სურათს. კომპანიების ანალიზისთვის, რომელთა აქციები კოტირდება ბირჟაზე, ტიპური მოდელი იღებს შემდეგ სახეს³⁰:

$$Z=C_1+C_1X_1+C_2X_2+C_3X_3+C_4X_4$$

სადაც,

X_1 - მოგება დაბეგვრამდე/მიმდინარე ვალდებულებები (53%)

X_2 - მიმდინარე აქტივები/ვალდებულებები სულ (13%)

X_3 - მიმდინარე ვალდებულებები/აქტივები სულ (18%)

X_4 - დაკრედიტების ინტერვალის არარსებობა (16%)

C_0, \dots, C_4 კოეფიციენტები, პროცენტები ფრჩხილებში მიუთითებენ მოდელის პროპორციებზე: X_1 - ზომავს მომგებიანობას, X_2 - საბრუნავი კაპიტალის მდგომარეობას, X_3 - ფინანსურ რისკს, X_4 - ლიკვიდობას.

თუკი Z -ანგარიშის სიდიდე 0,3-ზე მეტია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფირმას არც ისე ცუდი გრძელვადიანი პერსპექტივა გააჩნია, თუკი 0,2-ზე ნაკლებია - გაკოტრების რისკი სავარაუდოზე მაღალია.

პარიზ-დაფინის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელების, კონანისა და გოლდენის მიერ მრეწველობის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის გამოყვანილ იქნა საწარმოს გადახდაუნარიანობის შემდეგი დისკრიმინანტული მაჩვენებელი³¹:

$$Z=-0,16 X_1-0,22 X_2+0,87 X_3+0,1X_4-0,24 X_5$$

სადაც,

X_1 = (დებიტორული დავალიანება + ფულადი სახსრები + მოკლევადიანი დაბანდებანი) / აქტივები სულ

X_2 = მუდმივი კაპიტალი / აქტივები სულ

X_3 = გადასახდელი პროცენტები / ამონაგები რეალიზაციიდან

X_4 = დანახარჯები პერსონალზე / დამატებითი ღირებულება გადასახადების გადახდის შემდეგ

³⁰ ქემელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოც. თბილისი, 2019, გვ.119

³¹ <http://afdanalyse.ru>. Модель Ж. Конана и М. Голдера оценки платежеспособности, Анализ финансового состояния предприятия, 2019

X_5 = მოგება რეალიზაციიდან / მოზიდული კაპიტალი

აქ დამატებითი ღირებულება = პროდუქციის ღირებულება – ნედლეულის, ენერჯის და გარე ორგანიზაციების მომსახურება

Z-ის მნიშვნელობის მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება შემდეგია:

- $Z=0,21$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 100%;
- $Z=0,048$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 90%;
- $Z= 0,002$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 80%;
- $Z=- 0,02$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 70%;
- $Z -0,068$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 50%;
- $Z -0,087$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 40%;
- $Z -0,107$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 30%;
- $Z -0,131$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 20%;
- $Z -0,164$ გადახდების დაყოვნების ალბათობა 10%;

ფულმერის მოდელი შემუშავდა 60 მცირე და საშუალო საწარმოების მონაცემების დამუშავებით, რომელთაგან 30 გაკოტრებული საწარმო იყო, ხოლო 30 კი – ნორმალურად მომუშავე წლიური საშუალო ბალანსით, 455 ათასი აშშ დოლარით. დასაწყისში მოდელი 40 კოეფიციენტს შეიცავდა, ბოლოს კი – 9-ს³².

$$H5,528 X_1 + 0,212 X_2 + 0,073 X_3 + 1,270 X_4 - 0,120 X_5 + 2,335 X_6 + 0,757 X_7 + 1,083 X_8 + 0,894 X_9 - 3,075$$

სადაც:

X_1 = გაუნაწილებელი მოგება / აქტივები სულ

X_2 = რეალიზაციიდან ამონაგები / აქტივები სულ

X_3 = მოგება გადასახდების გადახდამდე / საკუთარი კაპიტალი

³² Fulmer John G. et al.: A Bankruptcy Classification Model For Small Firms. Journal of Commercial Bank Lending, 1984. júlíus

$X_4 = \text{ფულადი ნაკადები} / (\text{მოკლევადიანი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები})$

$X_5 = \text{გრძელვადიანი ვალდებულებები} / \text{აქტივები სულ}$

$X_6 = \text{მოკლევადიანი ვალდებულებები} / \text{აქტივები სულ}$

$X_7 = \text{Log (მატერიალური აქტივები)}$

$X_8 = \text{საბრუნავი კაპიტალი} / \text{საკრედიტო დავალაინება}$

$X_9 = \text{Log ((\text{მოგება გადასახადების გადახდამდე} + \text{გადასახდელი პროცენტები}) / \text{გადასახდელი პროცენტები})}$

H-ის მნიშვნელობის მიხედვით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობას შემდეგნაირად ფასდება: თუ $H < 0$, მაშინ საწარმოს გაკოტრება 100%-იანია. ერთი წლის პროგნოზის შემთხვევაში გაკოტრების ალბათობა 0.98%-ის, ორი წლის კი – 81%-ის სიზუსტით მიიღწევა.

სპრინგეიტის მოდელი 1978 წელს შეიქმნა, 1968 წელს ი. ალტმანის მიერ შემუშავებული ბიჯური დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდის გამოყენებით ს. ფრეიზერის უნივერსიტეტში ლ. სპრინგეიტის მიერ. მოდელის შემუშავების დასაწყისში ფინანსური ანალიზის ჩასატარებლად შერჩეული 19 მაჩვენებლიდან საბოლოო ვარიანტში მხოლოდ ოთხი მაჩვენებელი დარჩა. მოდელის ზოგადი სახე შემდეგია:

$$Z = 1.03 * K_1 + 3.07 * K_2 + 0.4 * K_3 + 0.66 * K_4$$

აქ

$$K_1 = X_2 / X_1; K_2 = X_3 / X_1; K_3 = X_4 / X_1; K_4 = X_5 / X_6$$

ანუ

$$Z = 1.03 * X_2 / X_1 + 3.07 * X_3 / X_1 + 0.4 * X_4 / X_1 + 0.66 * X_5 / X_6$$

გარდაქმნების შემდეგ ფორმულა შემდეგია:

$$Z = (1.03 * X_2 + 3.07 * X_3 + 0.4 * X_4) / X_1 + 0.66 * X_4 / X_5$$

სადაც

X_1 – აქტივები(სულ);

X_2 – სამუშაო (საბრუნავი) კაპიტალია;

X_3 – მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე (EBIT);

X_4 – ამონაგებია (შემოსავალი) რეალიზაციიდან

X_5 – მოგება გადასახადებით დაბეგვრამდე (EBT);

X_6 – მოკლევადიანი ვალდებულებებია.

Z-ის მნიშვნელობის მიხედვით, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება შემდეგია:

თუ $Z < 0.862$, მაშინ საწარმოს გაკოტრების თავიდან აცილება შეუძლებელია. მოდელის შემუშავებისას სპრინგეიტმა დაამუშავა 40 საწარმოს მონაცემები და მიიღო საწარმოს გაკოტრების საპროგნოზო მნიშვნელობა 92,5% სიზუსტით.³³


სს „თელასი“ სპრინგეიტის მოდელი

ცხრ. 2.2.2

მაჩვენებელი	2015	2016	2017	2018
სპრინგეიტი (Z)	1.14	1.53	4.66	5.55

სს „თელასი“ სპრინგეიტის მოდელი გრაფიკის სახით

გრაფიკი 2.2.2



როგორც ცხრილიდან (2.2.2) და გრაფიკიდან (2.2.2) ჩანს, კომპანიას გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება.

³³ მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით“, თბილისი, 2019, გვ 48

1972 წელს ეკონომისტმა ლისმა³⁴ (დიდი ბრიტანეთ) მიიღო შემდეგი ფორმულა:

$$Z=0,063*K_1+0,092*K_2+0,057*K_3+0,001*K_4$$

სადაც,

K_1 = მიმდინარე კაპიტალის თანაფარდობა აქტივებთან (ბალანსის ვალუტასთან);

K_2 = რეალიზაციიდან მიღებული მოგების თანაფარდობა აქტივებთან (ბალანსის ვალუტასთან);

K_3 = გაუნაწილებელი მოგების თანაფარდობა აქტივებთან (ბალანსის ვალუტასთან)

K_4 = საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა;

მაჩვენებლის კრიტიკული მნიშვნელობა შეადგენს $<0,037$.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად 1984 წელს ძმიჟევსკის მიერ შემოთავაზებულ იქნა ერთერთი პირველი **probit** მოდელი.

მოდელი აგებულ იქნა სამი კოფიციენტის საფუძველზე. მოდელის ასაგებად **probit** რეგრესიის ინსტრუმენტარიის გამოყენებით დამუშავებულ იქნა 1972-1978 წწ. 40 გაკოტრებული და 800 ფინანსურად სტაბილური საწარმოთა მონაცემები.

მოდელი შემდეგია³⁵:

$$Z = -(4.336 + (4.513 * X_2 + 5.679 * X_3) / X_1 + 0.004 * X_4 / X_5) 2.30$$

სადაც:

X_1 – აქტივებია;

X_2 – წმინდა მოგებაა;

X_3 – ვალი (სულ);

X_4 – მიმდინარე აქტივებია;

X_5 – მიმდინარე ვალდებულებებია

³⁴ Модель Лиса. Анализ финансового состояния предприятия. Финансовый анализ. <http://afdanalyse.ru>. 2019

³⁵ Жданов Василий Юрьевич, к.э.н., МОДЕЛЬ ЧЕССЕРА И PROBIT-МОДЕЛЬ ЗМИЕВСКОГО. ПРИМЕР РАСЧЕТА В EXCEL. <http://finzz.ru/>.

მოდელი წარმოადგენს პრობიტ რეგრესიის შეფასებას, ამიტომ Z კოეფიციენტის ალბათურ მნიშვნელობაში გადასაყვანად გამოიყენება სტანდარტული ნორმალური განაწილების ცხრილი. გამოიანგარიშება გაკოტრების ალბათობა $P=f(Z)$. აქ $f(Z)$ სტანდარტული ნორმალური განაწილების ფუნქციაა. P იღებს ორ მნიშვნელობას ნულს (საწარმო არ არის გაკოტრებული) და ერთს (საწარმო გაკოტრებულია).

საწარმო ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლია და მისი ფინანსური მდგრადობა გარკვეულწილად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ საწარმოს ფინანსური მდგრადობის პროგნოზი ერთერთი აქტუალური საკითხია.

2.3 გაკოტრების თავიდან აცილების გზები

ბიზნესის მართვის თანამედროვე პირობებში საწარმოს ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისა და გრძელვადიანი კრედიტუნარიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ბიზნესგარემოს მოთხოვნებისა გათვალისწინებით საწარმოს საქმიანობის ცვლილებებისათვის მუდმივი მზადყოფნა. საწარმო თავისი საქმიანობის სტრუქტურის თავისდროული და სწორი ტრანსფორმაციის უნარს უნდა ფლობდეს, მუდმივად უნდა ახორციელებდეს ადეკვატურ სტრატეგიულ და ოპერატიულ ცვლილებებს.

საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელ საერთო კანონზომიერებას წარმოადგენს მისი ფუნქციონირების პროცესის უთანაბრობა, წარმოებისა და გასაღბის პროცესების მერყეობა, კრიზისული სიტუაციების წარმოქმნა [13].

მუდმივად ცვალებადი მაკროსამყაროს პირობებში, როდესაც კრიზისის წარმოქმნის ალბათობა იზრდება, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კრიზისული სიტუაციების, მისი გამომწვევი მიზეზების და ამ მიზეზების დაძლევის შესაძლებლობათა გამოკვლევა. მისი თავიდან აცილებისათვის აუცილებელია შეიქმნას კრიზისის ნიშნების გამოკვლევის სისტემა.

გაკოტრებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს როგორც საწარმოს, ისე მის კლიენტურას (კრედიტორებს, ინვესტორებს და სხვ.) ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გააკოტრების პროგნოზირებას და მოსალოდნელი გააკოტრების თავიდან აცილებას.

საწარმოს კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შენარჩუნება და გამლიერება, გააკოტრების თავიდან აცილება ანტიკრიზისული მართვით არის შესაძლებელი.

ანტიკრიზისული მართვის ძირითადი ფუნქციებია: საწარმოს კრიზისიდან გამოყვანისკენ მიმართულ ღონისძიებათა განხორციელება, კრიზისიდან მოსალოდნელი დანაკარგების შემცირება. ანტიკრიზისული მართვის ინსტრუმენტად სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფინანსური გაჯანსაღება სახელდება.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს ორი მიზნის მიღწევას: კრიზისული საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენას მიმდინარე პერიოდში და საწარმოს ფინანსური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფას გრძელვადიან პერსპექტივაში. ფინანსური გაჯანსაღება გულისხმობს დავალიანებათა დაფარვას, გადახდისუნარიანობის აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას და საწარმოს ფინანსური პოტენციალის გამოყენების ხარისხის ამაღლებას.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში განსასხვავებენ საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების ორ სტრატეგიას: **აქტიურს** (განვითარებადს) და **პასიურს** (სალიკვიდაციო ხასიათს).

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების აქტიური სტრატეგიის ამოცანას ახალი გასაღების ბაზრების ათვისება წარმოადგენს. პასიური სტრატეგია კი გულისხმობს ზარალიანი საამქროების დახურვას, მომუშავეთა რიცხვების შემცირებას, ძირითადი საშუალებების გაყიდვას, ან იჯარით გადაცემას, დავალიანებების რესტრუქტურირებას.

საწარმოს ფინანსური კრიზისის დაძლევისათვის აუცილებელია ისეთი გარემოებების გათვალისწინება, როგორცაა დაბეგვრის თავისებურებანი, საწარმოს საანგარიშსწორო პოლიტიკა.

კომპანიის ნებისმიერი სახის აქტივი, მატერიალური თუ არამატერიალური, შენობები, ნაგებობები, მანქან-დანადგარები, მოწყობილობანი, გრძელვადიანი

ინვესტიციები აქციებსა და ობლიგაციებში, ტექნოლოგიები და სხვა, რომლებიც ვალდებულებებით არიან უზრუნველყოფილი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს ვალების დასაფარად ან გაიცვალოს ფულად სახსრებზე. საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენის სურვილი შეიძლება გამოთქვან კრედიტორებმა, რაც ფულადი სახსრების შევსების რეზერვად შეიძლება მოევლინოს კომპანიას.

ფინასური მდგომარეობის გაჯანსაღების ღონისძიებანი შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმიანობის სახეები მიხედვით[13]:

- საწარმოო საქმიანობა;
- მარკეტინგული საქმიანობა;
- ფინანსური საქმიანობა;
- მენეჯმენტი

საწარმოო საქმიანობის მიხედვით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- თვითღირებულების შემცირების, ხარჯების ოპტიმიზაციის ღონისძიებათა შემუშავება;
- შრომითი ხელშეკრულებების შესრულების ანალიზი;
- საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა დანერგვა.

მარკეტინგული საქმიანობის მიხედვით:

- რეალიზაციის მოცულობის ზრდის ღონისძიებათა განხორციელება;
- სარეკლამო კამპანიის განხორციელება;

საფინანსო საქმიანობის მიხედვით:

- დებიტორული დავალიანებების ანალიზის საფუძველზე დაფარვის დაბალი ალბათობის მქონე დავალიანებების გამოვლენა, ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ჩამოწერა და დებიტორებისაგან ვალის ამოღების ღონისძიებათა შემუშავება-გატარება;

- კრედიტორული დავალიანებების ანალიზი ლიკვიდურობის მიხედვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების გამოვლენა და მათი ჩამოწერების ღონისძიებების გატარება.

მენეჯმენტის მიხედვით:

- მკაცრი ფინანსური დისციპლინის დაცვა საწარმოს პერსონალის მართვასთან დაკავშირებით;
- არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი და მისი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება;
- პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმიზაცია;
- პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება სათანადო ტრენინგების ჩატარების და ტესტების გზით;
- შრომისნაყოფიერების ამაღლება - მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა შემუშავება-გატარება.

საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობიდან გამოსვლის კონკრეტული გზები დამოკიდებულია თვით საწარმოს არასტაბილურობის მიზეზებზე.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების მომჭირნეობით გამოყენებას, ამიტომ აუცილებელია ნორმატივებისა და რესურსების დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა, მეორადი ნედლეულის გამოყენება. ასევე, ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოთა გაჯანსაღება უნდა მოხდეს ორი მიმართულებით: საწარმოს შიდა რეზერვების ხარჯზე და გარედან მიღებული დახმარების ხარჯზე.

საწარმოს ფინანსურ მენეჯერს მუდმივ კონტროლის ქვეშ უნდა ქონდეს ისეთი მოვლენები და პრცესები, რომლებიც მოასწავებენ საწარმოში არასასურველი ფინანსური მდგომარეობის დადგომას³⁶, კერძოდ

1. ძირითადი საქმიანობის ზარალი;
2. საბრუნავი სახსრების ნაკლებობა;
3. კომერციული კრედიტების მიღების გაძნელება;

³⁶ Препринимательство, под ред. В. Горфинкеля и других, М. «Банки и биржи», 1999, стр. 374.

4. სამეურნეო ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების შემოსავლის შემცირება;
5. ფირმის ფასიანი ქაღალდების ფასის საცემა;
6. ვადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა.

ამერიკელი მეცნიერი ბობ ფაიერი წერს: „თუ საწარმოს ფინანსური მენეჯერი მაღალი კლასის მმართველია, იგი ასრულებს მთელი სამუშაოს არაუმეტეს 1%-ს და ქმნის თავისი ორგანიზაციის წარმატების 50%-ზე მეტს“.³⁷ ცხადია, რომ ბობ ფაერის ეს მინიშნება უნდა გაითვალისწინონ საწარმოთა გენერალურმა მენეჯერებმა ფინანსური მენეჯერების დაქირავებისა და მათი მუშაობის შეფასებისას. საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენა გაიანგარიშება ფორმულით³⁸.

$$K_3 = \frac{K_{1K} + \frac{6}{T}(K_{1K} - K_{1H})}{K_{1L}}$$

სადაც,

K_3 - არის გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი;

K_{1H} - არის ლიკვიდობის კოეფიციენტი წლის დასაწყისში;

K_{1K} - არის ლიკვიდობის კოეფიციენტი წლის ბოლოს;

K_{1L} - არის მიმდინარე ლიკვიდობის ლიმიტი (2,0);

T - პერიოდის ხანგრძლივობა თვეებში;

თუ $K_3 > 1$ -ზე, მაშინ ითვლება, რომ საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის შესაძლებლობა გააჩნია³⁹.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესი წარმატებულ საწარმოში ხორციელდება ეტაპობრივად [39].

პირველი ეტაპი - გადახდისუნარიანობის აღმოფხვრა. ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემაში გადაუდებელ ამოცანს წარმოადგენს გადახდისუნარიანობის აღდგენის უზრუნველყოფა მათი მიმდინარე ვალდებულებების მიხედვით;

³⁷ Фаифер Б., «Удвойте ваши прибили», М. «Банки и биржи», 1996, стр. 25.

³⁸ Самсонова, Н.Ф., ЮНИТИ М., Финансовый менеджмент, практикум под ред. , 2001, с.262

³⁹ ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოც. თბილისი, 2019, გვ.129

მეორე ეტაპი - საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს გადახდისუნარობა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში რიგი ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით, გადახდისუნარობის გენერირების მიზეზები უცვლელი რჩება, თუ საწარმოს ფინანსური მდგრადობა არ აღდგება უსაფრთხო დონემდე.

მესამე ეტაპი - ეკონომიკური წარმატებულობის აღდგენა და ეკონომიკური იმუნიტეტის ჩამოყალიბება, სრული ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა.

საწარმოს ფინანსური გაჯანსაღების შემუშავებულმა სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს მისი გადარჩენისათვის საჭირო საწარმოო განვითარების ტემპები მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხის შემცირების ფონზე.

ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ითვლება მიღწეულად, თუ აღმოფხვრილია მიმდინარე გადახდისუნარობა ე. ი. აბსოლური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის მნიშვნელობა ერთზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ მიმდინარე პერიოდში გაკოტრების საფრთხე არ არსებობს.

გაკოტრებისაგან თავის დასაღწევად საჭიროა ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება. გაუმჯობესების ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კრედიტორებისა და საწარმოს თანამშრომელთა წინაშე დავალიანებათა დაფარვის დეტალური ანალიზი, თითოეული კრედიტორის ან კრედიტორთა ჯგუფის წინაშე არსებული ვალდებულებების შესწავლა, რომელიც პრობლემური კრედიტორების გამოვლენასა და მოცემულ კატეგორიასთან მუშაობისათვის სათანადო ღონისძიებათა გატარების საშუალებას იძლევა.

ფინანსური სიმძნელების მქონე საწარმოთა ხელმძღვანელებს ფინანსური ანალიზისა და შესაბამისი მმართველობითი ღონისძიებების განხორციელებით შეუძლიათ საწარმოს სრული კრახისაგან დაცვა და მისი გადახდისუნარიანობის აღდგენა. რაც უფრო სტაბილურია საწარმო, მით უფრო ნაკლებია გაკოტრების საფრთხე.

გაკოტრების თავისდროული დიაგნოსტიკა საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს საწარმოში კრიზისული სიტუაციების გამოვლენის ფორმები, ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტების სისტემა, რომლითაც დგინდება საწარმოს უუნარობის ხარისხი. რის

საფუძველზეც მიღებული უნდა იქნეს ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან ახალი ბიზნესის დაწყების გადაწყვეტილება ან მოიძებნოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების გზები.

დასკვნა

თემაში წარმოდგენილი იქნა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და გაკოტრების დიაგნოსტიკის კრიტერიუმები, სს“თელასის“ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

განვიხილეთ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები, რის მიხედვითაც ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია არის ზოგადი კონცეფცია საწარმოს ფინანსური უზრუნველყოფის, ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, საწარმოს მდგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენის, ფინანსური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვისა და ამისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური განაწილების შესახებ.

სპეციალურ ლიტერატურაში შემოთავაზებული ფინანსური კოეფიციენტების არსებული სისტემა მისი სრულყოფის მიზნით დაჯგუფებულია შემდეგი სახით:

- საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების;
- ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის;
- ფინანსური მდგრადობის;
- ფინანსური მდგომარეობის შეფასების;
- საქმიანი აქტივობის შეფასების;
- მომგებიანობის შეფასების მაჩვენებლებით.

წარმოდგენილია გაკოტრების მრავალფაქტორიანი მოდელების ანალიზი. მეცნიერ-ეკონომისტების მიერ შემუშავებული იქნა ისეთი ფაქტორული მოდელები, რომელთა დახმარებითაც საწარმოთა მენეჯერებმა რამდენიმე წლით ადრე უნდა გამოიცნონ მოსალოდნელი ფინანსური საფრეთხე და გაატარონ პრევენციული ზომები.

ნაშრომში განხილული იყო სს „თელასის“ ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი, შეფასებულ იქნა საწარმოს ლიკვიდურობა, ფინანსური მდგრადობა, საქმიანი აქტივობა, ასევე ჩატარდა საწარმოს მომგებიანობისა და

საინვესტიციო ეფექტიანობის ანალიზი და საწარმოს გაკოტრების ანალიზი, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების გამოყენებით, როგორცაა ე. ალტმანის, რ. ლისის, რ. ტაფლერის, ჯ. ფულმერის, გ. სპრინგეიტის და ა. შ. მოდელები.

საწარმოს წარმატებლობის გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორების შესახებ არსებული მოსაზრებების ანალიზისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია საწარმოს დამოუკიდებელი ანუ გარე და ასევე შიდა, ფაქტორების კლასიფიკაცია. სწორედ ამ ფაქტორთა ნეგატიური ზემოქმედების შედეგად ხდება და საწარმოს მიერ ამ ფაქტორების გავლენის შედეგების ლიკვიდაცია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის და ზოგჯერ მისი წარმატებული განვითარების საფუძველია.

საწარმოს ფინანსური სიძნელების დაძლევა შესაძლებელია არაკრიზისულ გარემოში რიგი ღონისძიებების განხორციელების პირობებში, როგორცაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სწორი დიაგნოსტიკა, ფინანსური გაჯანსაღების სწორი მიმართულებების შერჩევა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელება რისკიანი ბიზნესის პირობებში.

გაკოტრების დიაგნოსტიკის პირობები არ არის სათანადოდ შესწავლილი, ეს პრობლემები კომპლექსურია და რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის, ფინანსური ანალიზის, სამართლის, ფინანსური მართვის შესწავლის საგნანს წარმოადგენს.

გაკოტრების პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განხილვის შედეგად გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ გაკოტრების დიაგნოსტიკის დისკრიმინანტულ მოდელებს გააჩნიათ განსხვავებული ალბათობა სხვადასხვა ქვეყნებისა და დროის სხვადასხვა პერიოდიანთვის. ცალკე აღებული საწარმოსათვის ამ დისკრიმინანტული მოდელების გამოყენება მიზანშეუწონელია. ამიტომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისას განხილული მოდელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ანალიზის დამხმარე ინსტრუმენტი. მათ შედეგებზე სრულად დაყრდნობა სახიფათოა. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ შემოწმებისა და კორექციის შედეგად. ვერც ერთი მოდელი და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ალტმანის მოდელებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკოტრების ალბათობის ანალიზის სათანადო სიზუსტეს. ამიტომ საჭიროა მათი შედარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლებთან და

ამკარა, მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობისას ე. ალტმანის ან სხვა ზემოთ განხილული მოდელები ჩაითვალოს მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად.

საწარმოს კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შენარჩუნება და გაძლიერება, გაკოტრების თავიდან აცილება ანტიკრიზისული მართვით არის შესაძლებელი, რომლის ინსტრუმენტსაც საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება წარმოადგენს. ამ მიზნით მიზანშეწონილია: გადახდისუნარიანობის აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება და საწარმოს ფინანსური პოტენციალის გამოყენების ხარისხის ამაღლება.

სს „თელასის“ ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის შემდგომ დადგინდა, რომ მოკლევადიანი აქტივების ხვედრითი წილი მთლიან აქტივებში 2018 წელს შემცირებულია, წინა წელთან შედარებით (25.62 - 2017 წელს; 22.1 - 2018 წელს), ხოლო გრძელვადიანი აქტივების წილი გაზრდილი (74.38 - 2017 წელს; 82.71 2018 წელს). მოკლევადიან აქტივებში ყველაზე დიდი წილით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები გამოირჩევა, რომლის აბსოლიტური ოდენობა საანალიზო პერიოდის მიხედვით, 2015 და 2016 წლებში ზრდადია, 2017 წელს იკლებს, ხოლო მიმდინარე წელს ისევ იმატებს.

როგორც საქმიანი აქტივობის ანალიზმა აჩვენა, 2018 წელს ელექტროენერჯის და ქსელური მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 461 969 ათასი ლარი, რაც 41 854 ათასი ლარით მეტია 2017 წელთან შედარებით. (2018 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერჯის განაწილების ტარიფი გაიზარდა სემეკ-ის 2017 წლის 27 დეკემბრის №48 დადგენილების თანახმად)

ძირითადად, 2018 წელს ტარიფის გაზრდის შედეგად გაიზარდა ამონაგები:

1. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვიდან 11 843 ათასი ლარით;
2. კომერციულ და სამრეწველო მომხმარებლებზე ელექტროენერჯის გაყიდვების შედეგად გაიზარდა 26 920 ათასი ლარით;
3. ელექტროენერჯის სახელმწიფო სექტორზე გაყიდვების შედეგად გაიზარდა 1 955 ათასი ლარით;
4. ელექტროენერჯის ტრანზიტის შედეგად 1 136 ათასი ლარით.

2018 წლის მოგებამ შეადგინა 27 628 ათასი ლარი, 2018 წლის გეგმიურ მოგებასთან შედარებით 18 869 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის ბოლოს მისი აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 340 686 ათასი ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე გაიზარდა 19 804 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე. 2018 წ. ბოლოს არასაბრუნავი აქტივების წილი გაიზარდა 26 720 ათასი ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ზრდის ხარჯზე და შეადგინა 265 407 ათასი ლარი, საბრუნავი აქტივები შემცირდა 6 916 ათასი ლარით და შეადგინა 75 279 ათასი ლარი, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების შედეგად. (2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი ფასს-სტანდარტი 16 „იჯარა“, რომლის შედეგად კომპანიამ რეტროსპექტიულად ასახა აქტივები, სარგებლობის უფლების და საიჯარო ვალდებულების ფორმით).

რაც შეეხება ლიკვიდურობას, სს „თელასის“ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2018 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 0,15-დან 0,07-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინდა 0,56. ამ მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეულია ფულადი სახსრების შემცირებით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 0,67-დან 0,63-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2018 წელს მოგებამ შეადგინა 27 628 ათასი ლარი 2017 წელს 22 249 ათას ლართან შედარებით. გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებლის ზრდა დაკავშირებულია საზოგადოების მიერ განხორციელებული გაყიდვებიდან მოგების მაჩვენებლების ზრდასთან. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის და ერთიანი აქტივების რენტაბელობის მნიშვნელობის ზრდა დაკავშირებულია საზოგადოების

მოგების ზრდასთან. წლის განმავლობაში მოგების ზრდა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით:

1) ამონაგების ზრდა ელექტროენერჯის განაწილებაზე ტარიფების ზრდის შედეგად 2018 წლის 1 იანვრიდან;

2) მოგების გადასახადის შემცირება, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების გამო, რომელთა თანახმად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სრულად ჩამოწერა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ფასს (IAS) 12 „მოგების გადასახადი“ დაბეგვრის 0% განაკვეთით გადავადებული გადასახადების შეფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც გაუნაწილებელი მოგების მიმართ მოქმედებდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

რაც შეეხება სს „თელასის“ ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლებს, 2018 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა 0,53. საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა 0,88 (საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე მოდის სასესხო კაპიტალის 0.88 ლარი), ვალდებულებების შემცირების და კაპიტალის ზრდის შედეგად.

გაკოტრების ანალიზის მეთოდების გამოყენების შედეგად დადგინდა, რომ კომპანია გაკოტრების რისკების წინაშე არ დგას უახლოესი სამი წლის განმავლობაში, ზოგადად კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაძლებელია შეფასდეს სტაბილურად, მისი ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად ზრდადია, ფინანსური სტრუქტურა დამაკმაყოფილებელი რაც საფრთხეს არ უქმნის კომპანიის გადახდისუნარიანობას. 2018 წელს მიღწეული შედეგები გვამღევეს რწმენას იმისა, რომ სს“თელასი“ მომავალშიც მყარ პოზიციას დაიკავებს საქართველოს ელექტროქსელური მომსახურების ბაზარზე.

საწარმოს წარუმატებლობის გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორების შესახებ არსებული მოსაზრებების ანალიზისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია საწარმოს დამოუკიდებელი ანუ გარე და ასევე შიდა, ფაქტორების კლასიფიკაცია. სწორედ ამ ფაქტორთა ნეგატიური ზემოქმედების შედეგად ხდება და

საწარმოს მიერ ამ ფაქტორების გავლენის შედეგების ლიკვიდაცია საწარმოს კრიზისიდან გამოსვლის და ზოგჯერ მისი წარმატებული განვითარების საფუძველია.

საწარმოს ფინანსური სიმწელების დაძლევა შესაძლებელია არაკრიზისულ გარემოში რიგი ღონისძიებების განხორციელების პირობებში, როგორცაა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სწორი დიაგნოსტიკა, ფინანსური გაჯანსაღების სწორი მიმართულებების შერჩევა და სათანადო ღონისძიებათა განხორციელება რისკიანი ბიზნესის პირობებში.

გაკოტრების დიაგნოსტიკის პირობები არ არის სათანადოდ შესწავლილი, ეს პრობლემები კომპლექსურია და რამდენიმე სამეცნიერო დისციპლინის, ფინანსური ანალიზის, სამართლის, ფინანსური მართვის შესწავლის საგნანს წარმოადგენს.

გაკოტრების პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განხილვის შედეგად გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ გაკოტრების დიაგნოსტიკის დისკრიმინანტულ მოდელებს გააჩნიათ განსხვავებული ალბათობა სხვადასხვა ქვეყნებისა და დროის სხვადასხვა პერიოდიანთვის. ცალკე აღებული საწარმოსათვის ამ დისკრიმინანტული მოდელების გამოყენება მიზანშეუწონელია. ამიტომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესწავლისას განხილული მოდელები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ანალიზის დამხმარე ინსტრუმენტი. მათ შედეგებზე სრულად დაყრდნობა სახიფათოა. მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ შემოწმებისა და კორექციის შედეგად. ვერც ერთი მოდელი და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ალტმანის მოდელებიც ვერ უზრუნველყოფენ გაკოტრების ალბათობის ანალიზის სათანადო სიზუსტეს. ამიტომ საჭიროა მათი შედარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სხვა მაჩვენებლებთან და აშკარა, მნიშვნელოვანი განსხვავების არარსებობისას ე. ალტმანის ან სხვა ზემოთ განხილული მოდელები ჩაითვალოს მოცემული სიტუაციისათვის მისაღებად.

საწარმოს კონკურენტუნარიანი მდგომარეობის შენარჩუნება და გაძლიერება, გაკოტრების თავიდან აცილება ანტიკრიზისული მართვით არის შესაძლებელი, რომლის ინსტრუმენტსაც საწარმოს ფინანსური გაჯანსაღება წარმოადგენს. ამ მიზნით მიზანშეუწონელია: გადახდისუნარიანობის აღდგენის კომპლექსურ ღონისძიებათა გატარება და საწარმოს ფინანსური პოტენციალის გამოყენების ხარისხის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 1, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მუხლი 10, ფასს1, 2017
2. ბასს 16, ძირითადი საშუალებები, 2017
3. ბასს 2, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები, თბილისი 2017;
4. ბასს 7, ფულადი ნაკადების ანგარიშგება, 2017
5. თურმანიძე თ., „ფინანსური ანალიზი“, სამართლიანი საქართველო, თბილისი 2014;
6. ლიპარტია ზ. ეკონომიკური ანალიზი ნაწილი I - ეკონომიკური ანალიზის თეორია. თბილისი 2003.
7. მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება სიმულაციური მეთოდით“, თბილისი, 2019
8. მუნჯიშვილი თ., „საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი“, თსუ-ს შრომები, თბილისი 2005.
9. სს „თელასი«.წლიური ანგარიში 2016-2018 წ.
10. ფასს 16.იჯარა
11. ფინანსური ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები, თბილისი 2009;
12. ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, მე-3 გამოც. თბილისი, 2019
13. ჩეჩელაშვილი ა., ფინანსური მდგომარეობისა და მდგრადობის გაუმჯობესების გზები ლუდის და უალკოჰოლო სასმელების წარმოებაში. თბილისი 2013;
14. ჭილაძე ი., „ფინანსური ანალიზი“ (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი), მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2018;
15. ჭილაძე ი., გოგრიჭიანი ზ., „ეკონომიკური ანალიზი (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011;
16. ხარაბაძე ე., საბაური ლ., სრესელი ნ., კვატაშიძე ნ., ჯიქია მ., შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების რეზერვები, თბილისი 2016
17. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ფინანსური აღრიცხვა, თბილისი, 2011
18. ჯიქია მ. ფინანსური ანალიზი , გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2011წელი;
19. ჯიქია მ., ჩეჩელაშვილი რ., ბურდული ფ., „ეკონომიკური ანალიზი“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010
20. Altman E.I., Bankruptcy, Credit Risk, and High Yield Junk Bonds. Wiley-Blackwell. 1 edition, 576 p, 2002
21. Altman Edward I., Predicting Financial Distress Of Companies: Revisiting The Z-Score And Zeta® Models, July 2000
22. Bever W.H. Financial Ratios as Predictors of failure Empirical Research in Accounting: „Selected Studies Supplement to Journal of Accounting Research“ 1996

23. Fulmer John G. et al.: A Bankruptcy Classification Model For Small Firms. Journal of Commercial Bank Lending, 1984. július.
24. Martin Fridson and Fernando Alvarez – Financial statement analysis, third edition. Published by John Wiley & Sons Inc. 2002
25. Shemetev. A. Complex finance analysis and bankruptcy prognosis and also financial management-marketing manual for self-tuition group. Saint-Petersburg, LTD „ZODCHIY“, 750 p,
26. Steven M. Bragg – Financial analysis. Published by John Wiley & Sons Inc. 2007;
27. Брейли Р., Майерс С. Принципы корпоративных финансов. М.: «Олимп-Бизнес». 2008. 1008 с.
28. Жарковская Е.П., Бродский Б.Е., Антикризисное управление. „Омега- Л“, 16-24 с., М. 2004
29. Жданов Василий Юрьевич, к.э.н., МОДЕЛЬ ЧЕССЕРА И ПРОВИТ-МОДЕЛЬ ЗМИЕВСКОГО. ПРИМЕР РАСЧЕТА В EXCEL
30. Ковалёв В.В., Финансовый анализ. Управление капиталом, Выбор инвестиций, Анализ отчётности. 2-е изд. перераб. и доп. „Финансы и статистика“. 2007
31. Коротков Э.М., Антикризисное управление. ННФРА. 128 с, М. 2000
32. Модель Ж. Конана и М. Голдера оценки платежеспособности, Анализ финансового состояния предприятия, 2019
33. Модель Лиса. Анализ финансового состояния предприятия. Финансовый анализ.
34. Патров В.В., Ковалёв В.В., Как читать баланс. „Финансы и статистика“. М. 2000
35. Препринимательство, под ред. В. Горфинкеля и других, М. «Банки и биржи», 1999, стр. 374
36. Самсонова, Н.Ф., ЮНИТИ М., Финансовый менеджмент, практикум под ред. , 2001, с. 262
37. Фаифер Б., «Удвойте ваши прибили», М. «Банки и биржи», 1996, стр. 25.
38. Федорова Г. В., Учёт и анализ Банкротств. „Омега- Л“. 248 с, М. 2008
39. Федотова М.А., Как оценить финансовую устойчивость предприятия. „Финансы“. № 6. 2005
40. Философов Л., Как спасти предприятие? ж. «Реформа», 1992, №10
41. http://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/1/model_zh_konana_i_m_goldera_ocenki_pl_atezhеспособности/13-1-0-120
42. http://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/1/model_lisa/13-1-0-107
43. <https://1fin.ru/?id=281&t=967>
44. <http://finzz.ru/model-chessera-i-model-zmievskogo.html>